

# გაბრიელი სასარტოველი

ქართული ეროვნული საგზოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F.

MENSUEL

N° 7

ნოემბერი — 1952 — NOVEMBRE

N° 7

## ჩვენის უნიკალური

უნდა შევძებნოთ ღიათ, საჯაროთ მუშაობას, დასამალავი რა გვაქვს? — ასეთი იყო ლოზუნგი ქართულ ეროვნულ საბჭოს დამფუძნებელი ყრილობის, რომელიც ერთი წლის წინეთი გაიმართა პარიზში.

ღიათ ვმუშაობთ, ყველასათვის ნათელი და თვალდასანახია ჩვენი საქმე და მოღვაწეობა, — ასეთი ლოგუნებით შევხვდით საბჭოს ყრილობის მეორე სესიას ერთი წლის თავზე.

ყველამ ნახა, ყველას შეეძლო მოესმინა, რაც ხდებოდა ჰორტ - კულტურის ზალაში, სადაც ემიგრაციის დაფანტულობიდან შემოკრებილი დელეგატები სჯიდნენ და არჩევდნენ ერთი წლის ნამუშაოთა თავის აღმასრულებელ კომიტეტისას.

გვეწვიენ მეგობარ ერთა წარმომადგენლებიც — კავკასიის ერები, ყველა მუზობლებია; მათ ყოველთვის მოველოადით. უფრო მეტათ გავციტბო გული იორი დიდი სლავიანური ერის წარმომადგენელთა — უკრაინის და ბელორუსების საპატიო სტუმრობამ. მოგვილოცეს, გაგვამხნევეს. ჭეშმარიტათ სამო იყო მათი ძმური, გულწრფელი სალამი, რისთვისაც მხურვალე ტაში დაიმსახურეს. ჩვენც ჩვენის მხრით დიდ, გულითად მადლობას ეუძღვნით მათ, ჩვენი საერთო ბრძოლისა და თავისუფლების მოტრფიალეთ. ვარწმუნებთ ჟანგი არასოდეს მოსდებია მეგობრობაში გამოკედლილ მტკიცე ჯაჭვს, რომელიც საერთო ბრძოლის მძაფრ, ცეცხლის ნაკვერცხლებშია გამოწრთობილი.

მისალმებებით შექმნილ აწეულ სულიერ განწყობილებაში გაიხსნა ყრილობა. ოქმის წიგნი აქვე იბეჭდება. ყველამ წაიკითხოს! და ნახავთ, რომ ყრილობა იყო განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, უჩვეულო წესიერების, რიგანობის და სიღინჯის ფონზე ჩატარებული, არავის აზრი

არ შეგვიხუთავს. იქვით შეპყრობილი, უიმედობის მსახველი, თუ ენტუზიასტი, გატაცებული მომხრე აღებული სამუშაო ხაზის, მისი პრინციპილური საფუძვლების, მისი ბრძოლის ახალი გზების და ახალი მეთოდების — ყველა თავისუფლათ, გულ - ღიათ, მეგობრულათ გამოსთქვამდა თავის გულის ნადებს, ასაბუთებდა თავის ნაფიქრალს და ნააზრევს. კრიტიკაც დარბაისრული იყო, მოწონებაც, ერთმანეთში დავა-კამათიც. ფიცხი ქართველობისთვის ჩვეული გაცხარებისა, მწვავე შეჯახ - შემოჯახებისა და არეული რეპლიკების ნაცვლად, ატმოსფერო იყო დინჯებულ, კამათი ღრმა დაკვირვების, დაძაბული ყურადღების ნიშნის ქვეშ, თითქოს გალურსული, მაგრამ შინაგანათ ვულკანისებრი ამოძრავებული. თვითეული შინაგან გრძნობდა თავის მოვალეობის სიმძიმეს, პასუხისმგებლობის ღრმა შეგნება ისახებოდა ყველა ორატორთა სიტყვაში, რომლებმაც ილაპარაკა. და ილაპარაკა კი დიდმა უმრავლესობამ დელეგატებისა.

და ვანა შეიძლებოდა სხვა გვარათ? აქ ზომ ერის განთავისუფლების საკითხი იდგა დღის წესრიგში: ეს ერთადერთი იმედი და განმართლება ჩვენი ემიგრანტული არსებობის.

გაწვეულ მუშაობას, მრავალ ბრძოლას, შემოტევას და ხშირათ გაუგონარ ბრალდებებსაც რომ იწვევდა ზოგიერთ წრეებში, უთუოდ ესაჭიროებოდა წლის თავზე გულდასმით შემოწმება, მოფიქრებული შეფასება, კარგათ გასინჯვა - გაჩხრევა, კუდიის და კარგის გამოჩრევა, შეცდომათა აღნუსხვა არა გულის სატყენათ, არამედ გასასწორებლათ, დადებითის მოწონება და გაუმჯობესების გზებზე მითითება. დიან, საქმიანი იყო ყრილობა.

იმდენათ საქმიანი, რომ ვფიქრობ, მისი ძირი-





თადი ზაზი მამინაც კი არი მთიშლებოდა, ისინიც რომ ამ დღეს ჩვენთან ყოფილიყვენ, რომელთაც ცალკე - დგომამ ბევრი მწარე და უადგილი სიტყვა მოაყენა ენაზე და ათქმევინა ისეთ ადგილას, — საქართველოსათვის ძვირფას წამებულთა ხსოვნისათვის რომ იყო ეანკუთვნილი, სადაც ქართული კეთილ-შობილური ჩვეულების მაღალი მორალით, შინაური უთანხმოების გამოჩენის გზა და საშვალეა უნდა დახშული ყოფილიყო.

ყრილობის მონაწილეთა რიგებში ისეთ სიტყვაობას ცალი თევლითაც არი შეუჭვრეტია, რადგან, ვინეორებთ, ტანჯული ქართველი ერის გამოსწისათვის დაძაბული ზრუნვით იყო დატვირთული ჰაერი და მორალი ყრილობის.

ვინც იხილა — და ასეთები ბევრი იყვენ — დაგვიდასტურებენ, თამამად შეიძლება ითქვას, იშვიათია ასეთი დარბაისრული ყრილობის ჩატარება, ასე მოთმინებით მოსმენა მოპირდაპირეთა ყოველი თუნდ უკიდურესათ მოწინააღმდეგე აზრის და შეხედულების.

კიდევ უფრო საგულისხმეოა ის, რომ ორი

დღის შეუზღუდველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა წედვათ ერთსულოვნათ მიღებული რეზოლიუციები იქნა ყველა საკითხებზე გამოტანილი. სარეზოლიუციო კომისიაში ყველა ნიუანსების და მიდრეკილების, თუ მიმდინარეობის თანაწორათ იყვენ წარნოდგენილნი. არი ვიცით როგორ, მხარამ ფაქტია, რომ ერის ინტერესების ღრმა შეგნებამ, ერთმანეთის ნდობამ, მთლიანობის იდეის უძლეველმა სურვილმა შესაძლებელი გახადეს უკიდურესობათა შეთანხმება ერთობის გამოსატყდათ.

და ეს უდიდეს ღირსებას აძლევს ამ ყრილობის დადგენილებებს.

გვრწამს, რომ ეს წყურვილი ერთობის დაცვისა და ხორცშესხმულათ ცხოვრებაში გატარებისა — მონავალი მუშაობისათვისაც დარჩება გარდაუვალ კანონათ, რომელიც ამიერიდან თვით ყრილობისაგან არის სახელმძღვანელოთ დადებული ყველასათვის, ვისაც ერის სამსახურისათვის შესტკივა გული.

ისმინეთ ქართველნო და იგულისხმეორეთ!

**კავკასიის ერთა კონფერენცია**

გასულ 21 - 22 ოქტომბერს და 5 - 7 ნოემბერს, პარიზში შესდგა კავკასიის ერთა ემიგრაციაში მყოფ ორგანიზაციათა წარმომადგენლობის კონფერენცია. ამ ხნის განმავლობაში ეს პირველჯერ არის, რომ ემიგრაციაში კავკასიელები ასე მრავალ რიცხოვნად, ასე სრულად, გამოუტყლებლივ იყვენ წარმოდგენილნი.

ბუნებრივია, რომ დღევანდელ რთულ საერთაშორისო მდგომარეობის ხანაში კავკასიელები ცდილობენ სამოქმედოთ მათ საერთო პოლიტიკური ხაზი ქონდეთ და ერთად გამოწახონ საშუალებანი მოსკოვის დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დასამარცხებლად.

წარმომადგენლები იყვენ პარიზიდან, ევრიზანიდან, სტამბოლიდან, ბერლინიდან და კაიროდან. აზერბეიჯანის დელეგაციას წარმოადგენდენ: ჰაჯიბეილი, კახუმბეკვი და შეიხ-ულ-ისლამი; საქართველოსას — ივ. გეგეჭკორი, კ. გვარჯალაძე, გ. კერესელიძე, ს. მენაღარიშვილი, ნ. ურუშაძე, ნ. ცინცაძე და აკ. ჩხენკელი; სომხეთისას — გენ. დრო, ნაყასარდიანი, ბალიანი, სამხელისანი და ტოროსიანი; ჩრდილო - კავკასიისას — ჯაბაგი, ნამიტოკი და სეიდ შამილი.

კონფერენცია გახსნა კონფერენციის მონწვევ კომისიის თავმჯდომარემ — კ. გვარჯალაძემ. ის მიესალმად დელეგატებს, მოაგონა მათ აწ განსვე-

ნებული კავკასიელი მოღვაწენი, რომელნიც წინეთ ემიგრაციაში მუშაობდენ კავკასიის საკითხის გასარკვევად და საბრძოლველად და უსურვავ კონფერენციის მუშაობას წარმატებით დაგვირგვინება.

შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის პრეზიდენტი ყველა ერის დელეგატებიდან: აზერბეიჯანელებიდან ჰაჯიბეილი, სომხებიდან სამხელიანი, ქართველებიდან აკ. ჩხენკელი და ჩრდილო კავკასიელებიდან ნამიტოკი.

კონფერენციაზე მსჯელობის საგანი იყო კავკასიური ცენტრის შექმნა.

კონფერენციას წინ უსწობდა კერძო თათბირი, რომელზედაც ყველა მიმდინარე პოლიტიკურ, ტაქტიკური და ორგანიზაციულ საკითხების შესახებ მოხდა აზრთა გულახდილი განხილვა. კონფერენციაზე მთელ მსჯელობას ქონდა მეტად სერიოზული და საქმიანი ხასიათი. მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება. გადაწყდა შეიქმნას ერთი კავკასიური ცენტრი, რომლის მიზანია გაერთიანება კავკასიის ერთა ყველა სასიცოცხლო ძალებისა, რომელნიც იბრძვიან კავკასიის ხალხთა უცხო დომინაციისაგან განსათავისუფლებლად და საერთო მოქმედებით მათი დამოუკიდებლობის აღსადგენად.





ოქმის წიგნი

ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესია

სხდომა პირველი

შაბათს, 4 ოქტომბერს, 1952 წ., ნაშუადღევს 3 საათზე, გაიხსნა ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომა.

კრებას დაესწრენ საქრ. ეროვ. მთავრობის წევრნი ბ.ბ. ევ. მგვიჭკორი, კ. კანდელაკი და ელჩი აკ. ჩხენკელი.

კრებას ხსნის კომიტეტის მორიგი თავმჯდო-

მარე ბ-ნი გ. კერესელიძე რომელიც აბობს:

აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ლტოლვილ ქართველთა ეროვნულ საბჭოს მეორე ყრილობას დაწყებულად ვაცხადებ.

ნება დამართეთ ვიდრე თქვენ მოგმართავდეთ, ჩვენ ძვირფასს სტუმრებსა და ჩვენ მასპინძელ ერს მივესალმო.



გახსნა ყრილობის: გ. კერესელიძე აბობს შესავალ სიტყვას





(ფრანგულად) ძვირფასო წარმომადგენელნო თავისუფლებისათვის თანამებრძოლ ერებისა: დიდი უკრაინის მთავრობისა, ბელორუსის რადასი და კავკასიის მოძმე ერებისა: სომეხთა, ადერბეიჯანელთა და ჩრდილო კავკასიელთა, ღრმა და ძმური გრძობით მოგესალმებით. ისტორიამ ჩვენი ერების ბედი ჩვენთვის და თქვენთვის საერთო ხვედრად აქცია. დღემოკლე იქნება თავისუფლება ერთი ერისა თუ მის გვერდით მეორე ერთი მონობაშია.

მხაგვრელი ჩვენი ერებისა, წარმტაცი ჩვენი თავისუფლებისა ერთი და იგივეა. მხოლოდ და მხოლოდ საერთო ბრძოლით, საერთო მტრის წინააღმდეგ შედეგებთ დავამსხვრიოთ ბოროტი ერთა მონობისა. მონობა საერთოა, თავისუფლების მოპოვებას ნხოლოდ საერთო ძალებით შევძლებთ. წრფელის გულით, გრძობით ურთიერთისადმი ძმური სიყვარულისა ჩაგებათ საერთო ბრძოლაში და ამით შექმნილი რწმენა ჩვენი ძლიერებისა გამარჯვებას მოგვაპოვებს. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

ამ კრებულის სახელით უღრმესი მადლობის გრძობით მივესალმებო ფრანგთა სტუმართმოყვარე და დიდსულოვან რაინდ ერს. მან ფართოდ გაუღო კარი თავის თბილი კერისა ყველა იტალიელთ, მათ რომელნიც ბოროტმა ძალ-მომხრეობამ უსამშობლოდ, უსახლ-კაროდ ჰყო, მოგვცა საშუალება თავისუფალი შრომით, პატიოსანი ოფლით ჩვენ ოჯახნი ვამოვკვებოთ, ჩვენი შვილი მის დიდ კულტურას დავაწაფოთ და თავისი კაცთმოყვარე კანონების მფარველობის ქვეშ შეგვიხიზნა.

განსაკუთრებით ჩვენ, ქართველებს დაგვდო დიდი დაუფიწყარი ღვაწლი ამ ჩაგრულთა მეორე სამშობლომ, სამშობლომ და მასაზრდოვებელმა ერთა და ადამიანის უფლებებისამ: მას შემდეგ, როდესაც საერთაშორისო პირობების მიხედვით საფრანგეთმა ბოლშევიკთა მთავრობა იცნო, საქართველოს უფლებანი ხელუხლებლად დასტოვა და მრავალ წელთა განმავლობაში ჩვენი საეღწო სრულუფლებიან სახელმწიფოს წარმომადგენლობის ყველა პრეროგატივებით იყო აღჭურვილი.

გაუმარჯოს ამ დიდბუნებოვან ერს!  
(ქართულად) მოგესალმებით თქვენ, ლტოლვილი ქართველთა მიერ რჩეულნი და გისურვებთ ნაყოფიერად შეასრულოთ თქვენი ეროვნული მოვალეობა  
აღმასრულებელ კომიტეტის მომხსენებელი

თქვენ გაგაცნობთ ერთი წლის ჩვენს ნაშრომს. თქვენ თქვენი ნიჭით და გონებით განიხილავთ, საჯარო მსჯავრს დასდებთ, მიუღვამოლად მიგვითითებთ ნაკლზედ, თუ ასეთსა პოვებთ, კეთილს ავითვან ვანსწმენდით და შეიმუშავებთ ახალ დირექტივებს მომავალ აღმასრულებელ კომიტეტის სახელმძღვანელოდ. მაცხოვარი და ღვთისმშობელი, რომლისა ხვედრი ჩვენი ქვეყანაა, მრწამს მოგფენენ საჭირო ნათელს, რათა თქვენი დადევნილებანი უმცდარი იყვნენ ქართველთა საბედნიეროდ.

ახლა ნება მიბოძეთ ბატონებო, გთხოვით ფეხზე აღვდომით პატივი უსცეთ ახლად გარდაცვილი მეგობრის, ჩრდილო - კავკასიელის, ბნე კურიევის ხსოვნას. (ყველანი სდგებიან).

წინადადებას აძლევა კრებას იარჩიოს ყრილობის სახელმძღვანელოთ პრეზიდიუმში.

ესისის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: თავმჯდომარეებათ — ალ. შათირიშვილი, კ. ჩხენკელი და პ. საარჯველაძე.

მდივნებათ: აკ. ასათიანი და ვ. ინწკირველი.

თავმჯდომარეობას ბ-ნი ალ. შათირიშვილი.

მისი წინადადებით სხდომა ამტკიცებს შემდეგ დღის წეს-რიგს:

1. აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება;
2. საორგანიზაციო წესდების შესწორება;
3. ბიუჯეტის საკითხი;
4. ახალი კომიტეტის არჩევნები;
5. სხვა და სხვა საკითხები.

სანამ კრება დღის-წესრიგის განხილვას შეუდგებოდა, მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა ბელორუსიის წარმომადგენელს ბ-ნ აბრამჩიკს. ბატონებო! ბედნიერი ვარ, რომ მძღვეა შემთხვევა თქვენ მოგესალმით. ბელორუსიის ხალხი ისევე გრძობს ოკუპაციის სიმწვავეს, როგორც საქართველო, ჩვენი მიზანი ერთია. ქართველთა ისტორიული ბრძოლა არსებობისათვის მისი საბოლოო გამარჯვების უტყუარი საწინდარია. მისი სახელი მსოფლიოში, როგორც თავისუფლებისათვის შეუდრკველი ბრძოლის, უქმნის მას დამოუკიდებლობის საერთაშორისო გაკანტისა. ის ცნობილია როგორც ღირსი თავისუფლებისა და მას მიაღწევს. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ მისი თავისუფლება არ იქნება სრული, თუ მეზობლები დაპყრობილია. ეს საერთო ინტერესი გვაერთებს და ქმნის ჩვენს მეგობრობას ბრძოლაში, საბოლოო გამარჯვებამდე. გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს მებრძოლ ხალხებს (ტაში).






ბ. აბრამჩიკი ტრიბუნაზე



ბ. საჰონტიევი ტრიბუნაზე



ბ-ნი **საჰონტიევი** (უკრაინა), მოვეცი ძმური სალაშით თქვენი ხალხისადმი. ჩვენ მუდამ მეგობრები ვიყავით. ეს მეგობრობა შემთხვევითი და წარმავალი არაა. მისი საფუძველი მტკიცე ეროვნული ხასიათისაა. შეიძლება ზოგჯერ ბრძოლის მეთოდებში განსხვავება გვქონდეს, მაგრამ ეს დროებითი და წარმავალია. ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით გამარჯვების მოსაპოვებლად და იმედი მაქვს შემდეგაც ერთად ვიქნებით. გამარჯვოს საქართველოს! (ტაში)..

სომხეთის წარმომადგენელი **სამუყელიანი**. გესალმებით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ყველა ჩავრულ ერთა საკეთილდღეობით. 1918 წელში ჩვენი თავისუფლება აღორძინდა მეფის იმპერიის ნანგრევებზე; დღეს ის აღორძინდება ბოლშევიზმის ნანგრევებზე. ომის წინა პერიოდში ჩვენ, დაპყრობილი პატარა ერები მსოფლიოსთვის არ ვიყავით საინტერესო. ომის შემდეგ ყველამ გაიგო, რომ ჩვენი დაპყრობით დაიწყო საერთაშორისო მონობის მზადება ბოლშევიკური იმპერიალიზმის მიერ. ამიტომ ჩვენი თავისუფლება საერთო თავისუფლების იდეას უკა-


ვშირდება. ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და თქვენი ეროვნული დროშა, დღეს ემიგრაციაში დაკეცილი, მალე თქვენს დედა - ქალაქ ტფილისში აღიმართება. (ტაში).

ადერჩეიჯანის წარმომადგენელი **ბ. შეიხ-ულ-ისლამი**. — გესალმებით ჩვენი ხალხის სახელით. ჩვენ მუდამ ერთად ვბრძოდით დამოუკიდებლობისათვის და ერთად დავრჩებით გამარჯვებამდე. ჩვენ გვაკავშირებს ბრძოლის საერთო ინტერესი. მტერი ძლიერია, ასევე ძლიერი იყო მეფეთა რუსეთიც, მაგრამ ბოლომდე ბრძოლა არ დაგვიგდია. გამარჯვოს საქართველოს, გაუმარჯვოს ხალხთა კავშირს! (ტაში).

ყველა ეს სიტყვები წარმოთქმული იყო ფრანგულ ენაზე და თავმჯდომარე ბ. შათირიშვილმა ფრანგული ენით გადაუხადა მადლობა მეგობარ ერთა წარმომადგენელთ; ყრილობამ საერთო ტაშით გაცაცია სტუმრები, რომლებიც ქართულის უცოდინარობის გამო კრებაზე არ დაარჩენილან.

ამის შემდეგ კრება შეუდგა დღის წეს - ჩივის განხილვას. პირველ საკითხათ იღვა აღმასრუ-





ლუბელი კომიტეტის მოხსენება. მოხსენება კომიტეტის დავალებით გააკეთა ბ. ნ. ცინცაძემ.

**6. ცინცაძე.** ერთი წლისა ვართ. „ბილანი“ ჩვენი ჯანმრთელობისა თქვენს წინაშე გვინდა გადავშალოთ.

იმ თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ახალი პოლიტიკური წამოწყება, რომელიც შეადგენს შინაარსს განვლილი წლის მუშაობისას — პირველ ხანებში მისი ცერ მოიპოვებდა სრულ და უწყვეტ ერთსულოვნებას ემიგრაციის რიგებში. ნაწილი ემიგრაციისა ამ გაერთიანების გარეშე დაარჩა. მისთვის საჭიროა დრო და ნათელი ყოფა ყველასათვის მიღწეულ რეალურ შედეგისა, — რამაც უნდა გაჰფანტოს მრავალი გაუგებრობანი და მით ხელი შეუწყოს და გზა გაუხსნას საწადელ მთლიანობასაც, თუ არა ერთი და ორი ცდა ამ მიზნისაკენ მიმართული, დღევანდლამდის უნაყოფო გამოდგა — ჩვენ ღრმით გვრწამს, რომ ყველა სასიცოცხლო ძალები პოლიტიკური ემიგრაციისა, საბოლოო ანგარიშში, ამ ცოცხალ წამოწყების გარშემო თავს მოიყრიან. ჩვენი ურწმუნო თომანიც უნდა დარწმუნდენ, რომ პოლიტიკური ლოდიკა და ეროვნული ინტერესი მათ ამას უკარნახებს.

ეროვნულ საბჭოს დამაარსებელმა ყრილობამ მის აღმასრულებელ კომიტეტს უნდაეცოდა წესდება, რომლის ნიადაგზე ის უნდა ამუშავებულიყო. — **გვაკლდა პოლიტიკურ პრინციპების მკაფიოთ ჩამოყალიბება, რაც, რასაკვირველია, არ ადვილებდა კოლექტიურ მუშაობას.** (აქ ვაკვირით უნდა აღინიშნოს, რომ მე დაბეჯითებით არა შემძლია იტყვა, რომ ეს იყო თითქოს მიზნები „თეთრი ვიორგის“ განდგომისა). როგორ ესმოდა აღმასრულებელ კომიტეტს თავისი პოლიტიკური მისია და რა სახით გამომჟღავნდა ეს სინამდვილე? ამ კითხვაზე პასუხის ვაცემით მოცემული იქნება ის გზა და ხიდი, რომლითაც ჩვენ ვიდლოდით. ჩემს განზრახვაში არ შედის, რასაკვირველია, გადავიწყოთ მთლიანი სურათი საერთაშორისო მდგომარეობისა, მისი შეფასებით და სათანადო პერსპექტივებით. ამოცანა უფრო მარტივია, ვინაიდან ეს წარმოადგენს ზოგად დახასიათებას საკაცობრიო მოვლენათა მოცულობასა და მასთან დაკავშირებას და ლოდიკურათა გადაზმას ჩვენი საქმისა. მოკლეთ, ეს იქნება ასახვა ჩვენი ამ დროინდელი სახელმძღვანელო პოლიტიკური კონცეპციისა. მაშ საგანზე გადავიდეთ.

**დაკარგული ეკლიბირის ძიებაშია კაცობრიობა.**

ორი მსოფლიო ომის მოწამენი ვართ; წონასწორობას ვერ ვეზიარეთ; არც პერი უჩანს ახლო მომავალში მის განხორციელებას. ახლათ დასრულებულმა მსოფლიო ომმა რუკის ფარდით გააჰყო ჩვენი პლანეტა და ამ ორ ნაწილს შორის ყოველგვარ ნორმალურ ურთიერთობის დამყარება უდალესი და მანვე ილიუზია აღმოჩნდა, როგორც მოსალოდნელი იყო. პრობლემა ორ სამყაროს შეთვისებისა და თანაარსებობისა მათ შორის აღმართულ ბაიკადის გარღვევით და მოშლით უნდა დასრულდეს. როგორც ეს მიჯნა ორ რეჟიმთა და ცივილიზაციათა შორის მოიშლიდა, — ყველასათვის აშკარა გახდება, რომ მათ შორის ზავი შეუძლებელია: თავისუფლებას და მონობის შორის არსებანგრძლივი დიდუზიაც კი კომუნისტურ დიქტატურას დაშლის და ისტორიას ვადაულოცავს. აი ამ თვალსაზრისით, ამერიკაში წამოსროლილი ლოზუნგები კომუნისტების „შეკავებისა“ თუ „უკანდახევებისა“, არსებითად გულისხმობს **თითქოს ორი** რეჟიმის თანაარსებობის შესაძლებლობას, მაგრამ მისი დამკვიდრებისაკენ ამ დიდი დემოკრატიის ორივე მხარე ბრძოლით მიეჭანება. ბრძოლა ამ შემთხვევაში ლოდიკურ დასკვნამდე მივიყვანს.

უკანასკნელი ცენტრი ტოტალიტარიზმისა — კრემლი უნდა მოიშალოს.

მაშ ბრძოლა გრძელდება, მიუხედავად მრავალი ზიგზაგებისა. დაირჩნა ყველა თავისუფლების მოტრფილე ეროვნული და სახელმწიფო ძალები მონობის მედროშე დიქტატურის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით გაიხსნა ახალი სექტორი ამ ბრძოლისა „სახლოლოგიური ომის“ სახით, რომლის ფერხულში უნდა ჩადგეს პოლიტიკური ემიგრაციაც. ჯერი მოვიდა საბჭოთა კავშირში მობინადრე ერთა ემიგრაციებზე. როგორი გამოძახილი უნდა ჰქონდეს ასეთ წამოწყებას ჩვენში? იქნებოდა — უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, შეტი რომ არა ვიტყვათ, ასეთი შემთხვევისათვის ბოიკოტით გვეპასუხნა. **ეს ახალი სექტორი ბრძოლისა, ინიციატორების აზრით, — მიმართული უნდა იყოს გარკვეულ მიზნისაკენ — საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაცია, კრემლის იმპერიალიზმის მოშლა, აი რა უნდა ეწეოს მის დროშაზე!**


სტალინიმა გუშინ კიდევ თვალთმაქცურათ და ცინიკურათ გადმოიაროლა ლოზუნგი: ძირს იმპერიალიზმიო! ეს ლოზუნგი მის წინააღმდეგ უნდა აღიმართოს, წითელ იმპერიალისტურ ტყვეობაში მყოფ ერთა ლოზუნგათ უნდა გახ-





ბ. სამუელიანი ტრიბუნაზე

ბ. შეიხ-ულ-ისლამი ტრიბუნაზე



დეს. დიქტატორმა ის ნოიტაცა, რადგან კარგათ ხედავს, რომ მსოფლიო დემოკრატიის ბელადებმა ისტორიული აუცილებლობა აღიქვე შეიქმნეს და სძლიეს რა საუკუნოებით დაგროვილი ინერცია, ნებაყოფლობით, მეთოდურათ ანთავისუფლებდნ ზალხებს და ერებს.

ახალი ასპარეზი ბრძოლისა ჩვენ გვაძლევს უებარ საშუალებას, ჩვენი ქრონიკული სახის გამოჩენით და მისი განმტკიცებით — ახალი მკვიდრი პოზიციები მოუპოვოთ ჩვენს ერს მსოფლიო დემოკრატიის ბანაკში. მაშ, საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაცია, კრემლის იმპერიალიზმის მოშლა აუცილებელი პირობაა ქრთა განთავისუფლებისა. აქედან გამომდინარე საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ რეჟიმის ქვეშ წამებულ ერთა დასახულ მიზნებსაკენაა მიმართული. ამ კატეგორიაში შედის თვით რუსის, გუშინ კიდევ მპყრობელი ქრი. ისმის საკითხი, სასურველია და მიზანშეწონილია თუ არა მისი მონაწილეობა საერთო ბრძოლის ფრონტში? მისაღებია თუ არა ჩავრულ ქრთათვის ასეთი საერთო ფრონტი? და თუ სასურველია და მისაღებიც, უპირობო უნდა იყოს ეს მონაწილე-

ობა თუ განსაზღვრულ პირობებით და გარანტიებით შემოფარგლული? პოლიტიკური ანგარიშით ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რუსის ერის ზედრითი წონა საერთო ბრძოლის ფრონტში სასწორს საგრძნობლათ გადახრის გარკვეული მხარეზე და, საბოლოო ანგარიშში, შეიძლება, მას გარდამწყვეტი როლი მიეკუთვნოს. მსოფლიო დემოკრატიის მებაირახტრენი, დიდი ამერიკის მეთაურობით, სწორეთ იმაში აჩიან დაინტერესებულნი, რომ ეს გადახრა თავისუფლებისაკენ და დემოკრატიისაკენ მოხდეს! ერთი სიტყვით, ეს დებულება პოლიტიკურ და სტრატეგიულ აქსიომათ უნდა იქნეს აღიარებული. აქედან, ვფიქრობთ, მეორე კითხვაზედაც დადებითი პასუხი გამომდინარეობს. ესლა დარჩა უკანასკნელი საკითხი, რა პირობით უნდა განისაზღვროს ჩვენი მათთან საერთო ფრონტში თანამშრომლობა? აქაც პასუხი მარტივიია: **ერთა უფლებათა მათგან ურეწერვოთ ცნობა**, უნდა იყოს «condition sine qua non». გვეტყვიან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რუსს დემოკრატიებისაგან ამ უფლებათა ცნობას? ფასი ასეთი ცნობისა ორნაირია: მორალური და პოლი-





ტიკური. უნდა გვახსოვდეს (და ამის მაგალითი ჩვენი ერის ახლო წარსულშიდაც მოიპოვება) — უნდა გვახსოვდეს მეთქი, რომ ასეთ ფაქტურულ თამასუქებასაც, როცა საერთაშორისო ფორუმზე წყდება ბედი ერისა, — ხშირათ არაუმნიშვნელო ფასი და ღირებულება მიეცემა. მეორე მხრივ, არ უნდა გვავიწყებოდეს ერთი გარემოება: ყოველი ერის და, განსაკუთრებით, ჩვენითანა პატარა ერის პოლიტიკა კეთილათ განწყობილ მეზობლობას უნდა ემყარებოდეს. ჩვენ გვინდა მებრძოლები ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. საქართველოს სუვერენობის უზრუნველყოფის სასწორზე, რთვობაც სხვა დროს გვითქვამს, ეს მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

რაც შეეხება ამერიკულ და საქრთოდ, დასავლეთ საზოგადოებრივობის მიერ შეფასებას და დასამულ პრობლემისადმი მიდგომას — ის ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. თუ დასავლეთი დაეყრდნო მარტო არა — რუსს ერთა და რაზმულობას, ამით ის დიდათ გააძლიერებს რუსულ ნაციონალიზმს, რომელსაც შემდეგში ერთაშათ დაეყრდნობა სტალინი. ჩვენ გვმართებს პოლიტიკურათ გონიერი განსჭვრეტა იმ მომავლისა, როცა ენდა გადაწყდეს ბედი ჩვენი ერისა. ჩვენ მუდამ უამს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ერის ბედი სასიცოცხლოთ გადაება მსოფლიო დემოკრატიის ბედს და მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ მის რიგებიდან არ ამოვარდეთ, და რწმუნებული იმში, რომ თუ კაცობრიობას უწერია მონობის საშიშროება თავიდან აიცილოს,

ეს იქნება სურყევი გარანტია იმისა, რომ ჩვენი ერიც მასთან ერთად მოტაცებულ თავისუფლებას დაიბრუნებს და თავის დამოუკიდებლობას აღადგენს. ერთი, მაშ, ცხადი უნდა იყოს: იმპერიები, ძალით და ძალადობით შექმნილი, ირღვევიან: ამ პროცესს, ამ ისტორიულ აუცილებლობას აღმოსავლეთის კვალიციაც ვერ აცდება.

ჩვენ, რასაკვირველია, ისიც არ გვავიწყდება, რომ ჩვენი თაობანი ორ ეპოქათა გზა-გვარად იდინზე მოექცა, როცა ხთება მსოფლიოს ჩამოყალიბება ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულათ. თუ კაცობრიობას ასეთ მთლიანობისაქენ აქვს მიმართული გეზი — ჩვენთვის ცხადია, რომ მას წინ მიუძღვის დიდი ფორმაკების იმპერიების დაშლა და ერთა სრული ემანსიპაცია — ისტორიაც, ამ შემთხვევაში, ჩვენ მხარეზეა და სრულ-

ლი იმედით უნდა შევყურებდეთ ახლო მონავალს.

ახლა გადავდივარ პრაქტიკულ საქმიანობის განხილვაზე, რომლითაც ნათელ-ყოფილი უნდა იქნეს სრული ჰარმონია პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპათ შორის.

ამ წლის განმავლობაში შეიკრიბა ორი კონფერენცია — ვისბადენის და შტარენბერგის. ამას გარდა ადგილი ქონდა სხვადასხვა შეხვედრებს. ვისბადენის კონფერენცია სრულიად არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ეს იყო პირველი შემთხვევა ამ ნესამედი საუკუნის განმავლობაში რუსისა და არა რუს ერთა შეხვედრის და მოლაპარაკების, რაც ფსიქოლოგიურათ და იდეურათ ძალიან დიდ სიძნელეებს შეიცავდა. ძირითადი და მთავარი სიძნელე იყო არა კომუნისტურ, დიქტატურასთან ბრძოლის საკითხი, არამედ, სწორი და სამართლიანი გადაჭრა ეროვნული საკითხის; და საერთო ორგანიზაციაში მუშაობისა რუსულ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. საერთო ბრძოლის ფრონტში ჩაბმის აუცილებელი პირობა იყო ჩვენთვის მისგან ეროვნულ უფლებების უდავოთ აღიარება.

მთელი კამათი და დავა ვისბადენში სწორეთ ამ საკითხის გარშემო დატრიალდა. რუსულ სექტორას ქონდა წინდაწინ გამოუმუშავებული ფორმულა: საერთო რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა, აღიარება ერთა თვითგამორკვევის უფლების და რეალური გარანტია მისი განხორციელების. ეროვნებათა წარმომადგენლებმა ამას დაუპირდაპირეს კატეგორიული მოთხოვნა: ა) ეროვნული თვითგამორკვევა, ან პლებსციტით, სადაც ამას ადგილი არ ქონდა, ან ეროვნულ დამფუძნებელი კრების საშვალებით. ბ) ხოლო დამოუკიდებლობა — აღდგენილ და შემდეგ კომუნისტებისაგან ძალით დაპყრობილ ერებისათვის უშუალოთ აღდგენა მათი დამოუკიდებლობის.

ხანქრძლივი დავისა და შეჯახების შემდეგ ნიღებულ იქნა აღიარება ერთა თვითგამორკვევის უფლებისა სრულწივით, რაცა ხორციელდება ან პლებსციტით, ან ეროვნული დამფუძნებელი კრების მოწვევით, ან საერთო დამფუძნებელი კრების საშვალებით. ბ.ბ. კერენსკის, რომანოვის (სოლიდარისტი) და სხვათა განმარტებით, რაც სრულ სიმართლეს შეიცავს, ნაციონალური დამფუძნებელი კრება თავისთავად გულისხმობს დამოუკიდებლობას, ხოლო საერთო რუსული დამფუძნებელი კრება იგივე ნაც-





იონალურისა იმ ერთათვის, რომელიმეც დაარჩები-  
ან რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. მეორე  
ნაწილი მოთხოვნებისა ხუთი რუსული ორგა-  
ნიზაციიდან სამი ხმით ორის წინააღმდეგ უარ-  
ყოფილ იქნა, როგორც საერთო ფორმულა; ხო-  
ლო **ერთხმათ** მიიღეს—გამონაკლისი საქართვე-  
ლოსათვის, რაც აცნობეს ჩვენს წარმომადგენ-  
ელს, რომელიც იყო იმავე დროს კონფერენცი-  
ის თავმჯდომარე. ჩვენ განვაცხადეთ ამზე,  
რომ მათ დადგენილებას ვიღებთ ცნობათ, მაგ-  
რამ ვრჩებით ზემოხსენებულ საერთო ფორმუ-  
ლის ნიადაგზე. ყოველი ეს განცხადებულ იქნა  
არა - რუს ერთა თათბირზე და ერთსულღონათ  
დადასტურებულ იყვნენ ერთა წარმომადგენ-  
ლებისაგან. ასეთივე განცხადება იქნა გაკეთებუ-  
ლი შემდეგ კონფერენციის ოფიციალურ კრება-  
ზე. ვისბადენში ეს საკითხი დარჩა მამასადასმე  
გადაუწყვეტელი. ასევე გადაუწყვეტელი დარჩა  
საკითხი პოლიტიკურ ცენტრის სახელწოდები-  
სა, რომელშიაც ჩვენის აზრით არ უნდა ყოფი-  
ლიყო ნახმარი ტერმინი — **რუსეთი**.

ვისბადენის კონფერენციის დადგენილებით  
უნდა შექმნილიყო ერთა - შორისი კომისია, რე-  
მელსაც დაევალა სადაოთ დაარჩენილი საკითხე-  
ბის შესახებ შეთანხმებული ფორმულის გამონახ-  
ვა და მერე პლენუმის მოწვევა; მაგრამ კონფე-  
რენციის დახურვის შემდეგ თავი იჩინა ამკარა  
საბოტაჟმა და გაიმართა პრესაში ვამწვევებულ  
კამათი ბ.ბ. კერენსკისა და მელგუნოვის მეთაუ-  
რობით. ისინი ჩიოდენ, რომ ვისბადენი ჩავარდა  
სეპერატისტების ხელში; რომ რუსული სექტორი  
დაიჩაგრს და მომავალ პლენუმში მონაწილეობა-  
ზე უარს აცხადებდენ. საქმე კარგა ხანი მკვდარ  
წერტილზე შეჩრა.

ასეთ პირობებში თქვენმა წარმომადგენელმა  
როგორც ვისბადენის კონფერენციის თავმჯდო-  
მარემ, ქართულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტე-  
ტისა და ამერიკულ კომიტეტის სრული თანხმე-  
ბით აიღო თავზე ინიციატივა მოეწვია თათბირი  
კონკრეტულათ რადიო - გადაცემის პრაქტიკულ  
საკითხის გადასაწყვეტათ, განსაზღვრული წინას-  
წარი პირობებით, რომელთაგან მთავარი იყო: 1)  
საერთო პოლიტიკური ცენტრის სახელწოდებაში  
არ ყოფილიყო მოხსენებულ არც რუსეთი, არც  
ს.ს.ს.რ. 2) დადასტურებულიყო ვისბადენში მი-  
ღებულ ფორმულა ნაციონალურ საკითხში. 3)  
დამატებოდა კატეგორიული დაგმობა კომუნისტ-  
ური აგრესიისა და **Nul et non avenue**-ნ. ი. ი.  
გაუქმებულათ აღიარება ყველა იმ დაპყრობების,

რომელიც საბჭოთა კომუნისტურმა ხელისუფლე-  
ბამ მოახდინა.

ბ. ნ. ცინცაძის მოხსენების დროს დარბაზში  
შემოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზი-  
დენტი და ეროვნული მთავრობის თავმჯდომა-  
რე ბ. ნი **ნოე უ ო რ დ ა ნ ი ა** თავის მიუღ-  
ლით, რომელიც მთელმა დარბაზმა ფეხზე ად-  
გომით და ტამის ცემით მიაცილა მისთვის მიმ-  
ჩნეულ დასაჯდომ ადგილას. მას მოკლე, მაგრამ  
გრძობიერი სიტყვით, მიესალმა ყრილობის  
თავმჯდომარე ბ. შათირიშვილი.

**მომხსენებელი განაცხობს:**

სამწუხაროთ, ამ მოწოდებაზე დაღებითი პასუ-  
ხი ვერ მივიღეთ; როგორც მსალოდნელი იყო არა  
რუს ერებმა იგი უდაოთ გაიზიარეს, რუსულ სე-  
ქტორიდან კი ერთნი მას იღებდენ, როგორც  
პროექტს მომავალ კონფერენციაზე გასარჩევათ,  
მეორენი კი კატეგორიულათ უარყოფით შეხე-  
დენ მას. საქმე ისევე მკვდარ წერტილზე მოექცა.  
ასეთ პირობებში ერთად - ერთი გამოსავალი იყო  
მაინც მოგვეწვია თათბირი და ამ თათბირზე გვე-  
ცადა რაიმე ღონისძიებების გამონახვა საქმის ჩი-  
ხიდან გამოსაყვანათ. ამ მიზნით დაეგზავნა ახა-  
ლი მოწოდება ყველა ვისბადენის მონაწილეთ. ამ  
მოწოდებას რუსული სექტორიდან დადებითად  
გამოეხმაურა ოთხი ორგანიზაცია, რომელნიც  
ჩვენს პროექტს პრინციპში იზიარებდენ. ამათ-  
გან და ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან შე-  
სდგა შტაბენბერგის კონფერენცია. რუსული  
სექტორიდან არ მოვიდენ სოლიდარისტები. კონ-  
ფერენციამ იმსჯელა რამდენიმე დღის განმავ-  
ლობაში ყველა სადაო საკითხზე, რომელიც გა-  
დაუწყვეტლათ იყო დარჩენილი. მაგრამ არსეი-  
თარი საბოლოო აზრი არ გამოუტანია. მან მხო-  
ლოდ აღნიშნა შესაძლებლობა რუსეთისა და ნა-  
ციონალურ პოლიტიკურ ორგანიზაციების ერთ-  
იანი ფორმის შექმნისა პარტიტის და თანა-  
სწორობის საფუძველზე და ამ შესაძლებლობის  
განხორციელებისათვის აირჩია ორი დროებითი  
კომისია: 1) პოლიტიკური ერთა - შორისი კომი-  
სია და 2) რადიო - კომისია.

არავითარი სხვა დადგენილება, ან ახალი გზა,  
მას არ მიუღია. ამიტომ გაცვრით უნდა აღვნიშ-  
ნოთ „თეთრი გიორგი“-ის ორგანიზაციის გასვლა  
აღმასრულებელი კომიტეტიდან და საბჭოდან  
სწორეთ ამ კონფერენციის შემდეგ, სრულიად  
გაუგებარია. მას სამისო პოლიტიკური საფუძ-  
ველი და საბუთი არ ქონდა.





პოლიტიკური კომისიის გადაეცა კონფერენციის მისაღები და დავალა სადაო საკითხებზე შეთანხმებული პროექტის დამუშავება და მომავალი პლენუმისათვის წარდგენა განსახილველათ და დასადასტურებლად. რადიო კომისიის კი უნდა ეწარმოებია წინასწარი მუშაობა რადიო-გადაცემის ორგანიზაციისა, პერსონალის და სხვა ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლათ. რადიო-კომისია დღემდე განაგრძობს მუშაობას.

პოლიტიკური კომისიის კი ქონდა ორი კრება: აგვისტოს პირველ და უკანასკნელ რიცხვებში. პირველი შეხვედრა დათავდა უშედეგოთ. მეორე კი გამომუშავებულ იქნა შეთანხმების პროექტი პლენუმზე წარსადგენათ. ამ მეორე სხდომაზე რუსის ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოცხადდნენ, როგორც გვითხრეს, იმპერატიული მანდატით და გვიყენებდნენ ულტიმატუმს. ეს ულტიმატუმი ეხებოდა ორ ძირითად საკითხს — ცენტრის სახელწოდებას და ეროვნულ პრობლემას. პირველის შესახებ ისინი მოითხოვდნენ მიგვედლო ფორმულა: „ცენტრი რუსეთის ერთა განთავისუფლებისა“. მეორე საკითხში, მათი მიზანი იყო ამოგვერიცხა ვისბადენის ფორმულიდან — „ეროვნული დამფუძნებელი კრება“, როგორც თვითგამორკვევის ერთი ფორმათგანი, რჩებოდა მხოლოდ პლენისციტი, რომლის განხორციელება მათი აზრით შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის სრული ლიკვიდაციის შემდეგ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ავტონმატიურათ აღდგენის პრინციპს იღებდნენ მხოლოდ იმ ერთათვის, რომელითა დამოუკიდებლობა ცნობილი იყო 1921-2 წლებამდე მოკავშირეთაგან (ამაში სახელდობრ იხსენიებდნენ ბალტიის სახელმწიფოებს და საქართველოს).

ასეთი იყო იმპერატიული მოთხოვნები რუსული სექტორის; ჩვენ მათ გარკვევით ვუპასუხეთ, რომ მოლაპარაკებაზე ასეთი ულტიმატუმით მოსვლა შეუძლებლათ ხდის ყოველგვარ შეთანხმებას: თქვენ შეგეძლოთ ეს წინასწარ გეცნობებოთ უბრალო ბარათით და თავის მოყრაც საჭირო არ იქნებოდა. მაშინ მათი ულტიმატუმიდან უკან დაიხიეს და მსჯელობის გახსნა შესაძლებელი შეიქნა. დიდი კამათის შემდეგ პირველ საკითხზე, სახელწოდების შესახებ, გამოსავალი მოინახა იმაში, რომ ამ ცენტრს მიეცა „საკოორდინაციო ცენტრის“ სახელი, რომლის შემადგენელი ორგანიზაციები და ქრები უფრო ხელ-გამლილი და თავისუფალი რჩებიან თავის მოქმედებაში.

ამ ნიადაგზე ჩვენ მივალწით კომპრომისულა შემათანხმებელ ფორმულას, რომლის მიხედვით სდგება, საკოორდინაციო ცენტრი საერთო რუსეთის ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა ემიგრაციის ორგანიზაციის.

საკოორდინაციო ცენტრი შესდგება 60 წევრისაგან. ამათგან 20 რუსის ორგანიზაციის წარმომადგენელი და 10 ნათგან არჩეული საზოგადოებრივ - კულტურულ მოღვაწეთაგან. 20 ეროვნებათა ორგანიზაციების წარმომადგენელი და 10 ამათგან არჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეი. ეს ცენტრი ირჩევს აღმასრულებელ ბიუროს, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ანტი-კომუნისტურ ბრძოლას და რადიო-გადაცემებს. ეს არის ორგანიზაციული პლატფორმა, რომელზედაც უნდა ადგოს მომავალი მუშაობა.

ეროვნულ პრობლემის შესახებ მოხდა ასეთი შეთანხმება: ვისბადენში შემუშავებული ეროვნული ფორმულა მიღებულ იქნა უცვლელად (პლენისციტი, ეროვნული დამფ. კრება, საერთო რუსეთის დამფ. კრება). უარყოფილი იქნა რუსების მოთხოვნები, რომ თვითგამორკვევა მოხდეს მხოლოდ მთელი საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ, როგორც შეუფერებელი თვითგამორკვევის პრინციპთან.

მიღებულ იქნა დებულება, რომ საკოორდინაციო ცენტრში შემავალი ორგანიზაციები არც „მომავალ მთავრობის“ როლს კისრულობენ, არც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენენ. ეროვნულ საკითხის დამატებითად აღიარებულ იქნა აგრეთვე დამოება კომუნისტთა აგრესიულ აქტების და არც ცნობა ამ აქტთა შედეგების. ფორმულა ზოგადი ხასიათისა, კომპრომისულია და სასურველ გარკვეულობას მოკლებული, მაგრამ ამ პირობებში სავსებით მისაღებისა.

ასეთია ამ შეთანხმების პროექტის არსებითი სახე და ის წარედგინება მახლობელ პლენუმს დასამტკიცებლათ მთელი კონისიის სახელით.

**დასკვნა:** ა) ამერიკულ კომიტეტის ინიციატივით და ჩვენი განსაკუთრებითი აქტიური მონაწილეობით ეყრება საფუძველი საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა ემიგრაციის საკოორდინაციო ცენტრს, რომელსაც დაექვემდებარება რადიო-გადაცემათა ძლიერი აპარატი, რომლის ძირითად პრინციპათ დადებულა: ავტონომია თვითელი ეროვნული სექციისა საკუთარი რედაქციით რადიო - გადაცემისათვის და უფლება თავისუფლათ გაარკვიოს საკითხები თავის ერის





სასურველი პოლიტიკური წყობილებებისა და სხ.

ბ) პარალელურათ, კავკასიის ერებთან საერთო პოლიტიკური ხაზზე გაერთიანებული ფრონტის შექმნის ნიშნით, მოკლე ხანში პარიზში მოწვეულია კონფერენცია.

გ) ბეჭდვითი სიტყვის სფეროში: როგორც მოგეხსენებათ, ქართულათ გამოდის კომიტეტის ორგანო, რომლის დანიშნულებაა ამცნოს და გააშუქოს ქართ. საზოგადოებისათვის კომიტეტის საქმიანობის ფხედი და მიზნები.

დ) დამზადებულია მასალები ინგლ.-ფრანგულ ენაზე გამოსაცემათ ქართული პრობლემის გასაშუქებლათ, განძრახულია აგრეთვე გამოცემა ჰავარდის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერის ზედმიწევნით შესანიშნავი ნარკვევისა საქართველოს უკანასკნელ ნახევარ საუკუნის ისტორიის შესახებ, ინგლის-ამერიკის საზოგადოებაში ფართოთა გასავრცელებლათ. მზადდება აგრეთვე მისი ქართული თარგმანი.

ამ რიგათ, უშუალო და მჭიდრო კონტაქტის საქმიანობის ნიადაგზე დასაუღლებთ, კერძოთ და

განსაკუთრებით ამერიკულ საზოგადოებრივობასთან, ჩვენ მოვუპოვეთ ქართულ საქმეს ერთგვარი პოზიციები, რასაც, ცხადია, ნეთოდური მუშაობით მომავალში განმტკიცება და გაღრმავება ესაჭიროება. საბედნიეროთ ჩვენთვის ჩვენი ერის ინტერესი, როგორც არა ერთხელ თქმულა, სრულ პარმონიაშია მთელი კულტურულ კაცობრიობის ინტერესებთან, ვინაიდან, დამოუკიდებელ პოლიტიკის საწარმოებლათ მთელი საუკუნის საზომით, არათუ, ჩვენისთანა პატარა ერის, ზევრი — ვაცოლებით უფრო დიდი ერთა ხერხემალიც არ გამოდგება — ჩვენ ერს დიდი და ძლიერი მოკავშირე უნდა. მის კარს ჩვენ მივადექით და კიდევაც შევალთ და ღრმა რწმენას გამოვთქვამ, რომ ის ჩვენთვის აღარი გამოიხურება. (ერთსულოვანი ტაში).

თავმჯდომარე სხდომას აცნობებს ამერიკის შეერთებულ შტატებიდან მიღებულ ბ-ნ გოლდმანის მისასალმებელი დეპეშას. (იხ. დეპეშა).

სესიის დროს და შემდეგაც მიღებულ იქნა სხვადასხვა ადგილებიდან მოლოცვის დეპეშები. სხდომა წყდება 10 წუთით.

ს ხ დ ო მ ა მ ე რ ე

თავმჯდომარეობს ბ-ნი ალ. შათირიშვილი. მისი წინადადებით კრება შეუდგა კომისიების არჩევნებს. არჩეულ არიან პოლიტიკური კომისიისა: კ. ინასარიძე, მარკ. ტულუში, გ. ერადე, ვ. წულაძე. სამანდატო კომისიისა: დ. ერქომაიშვილი, აკ. ასათიანი, ვ. ჩუბინაძე. წესდების შესწორებისა: თ. ანთაძე, ვრ. მოღვებაძე, ვ. ბოლქვაძე. სარევიზიო კომისიისა: ლ. ფალავა, ვ. ტულუში, ნელი გოგბიძისა, პ. სარჯველაძე, გ. წერეთელი.

მომხსენებელი ბ-ნი ნ. ცინცაძე უპასუხებს ბ-ნ გ. წერეთელის, მ. ტულუშის და ავალიანის შეკითხვას: 1. ერთა რომელი ორგანიზაციებთან გვიხდება თანამშრომლობა?

- 2. რამდენად მნიშვნელოვანი და კვალიფიკურია ამ ერთა წარმომადგენლობა?
- 3. რა ზომები მიიღო აღმას. კომიტეტმა ქართულ ძალთა გასაერთიანებლად?
- 4. რით აიხსნება „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის საბჭოს და კომიტეტის მემადგენლობიდან ვასვლა?

მომხსენებელის პასუხი. ერების წარმომადგენლობა: იმთავითვე სომხებს წარმოადგენდენ ახა-

ლი ემიგრანტები, რაც ჩვენ არ ჩავთვალეთ კვალიფიციურ ძალად და კატეგორიულად მოვთხოვეთ ერთად - ერთი მთავარი ძალის დაშნაკლებების დასწრება; დაიწყო მოლაპარაკება ორი ძალის შესათანხმებლად. მოლაპარაკება გაგრძელდა დაშნაკლების მოთხოვნით. ამ დღებში მოულოდნელად პასუხს და ჩვენ იმედი გვაქვს, შეთანხმება ახლოხანში მიღწეული იქნება.

აზერბეიჯანი — მუსავატის ერთი ნაწილი შეუთანხმდა იმ ჯგუფს, რომელიც უკვე მუშაობს ამ წამოწყებაში. რასულ - ზადეს მეთაურობა აყენებს მიუღებელ პირობებს და დგას განზე.

ჩრდილო კავკასიელები — უპირობოთ გამოირიცხულია გაზეთ „კავკაზი“-ს ჯგუფი; წარმოდგენილია ავტორხანოვის ჯგუფი, რომელსაც შეუერთდა სტამბოლის ჯგუფი ნამიტოკის და შამილის მეთაურობით და მეჯლისის თავმჯდომარე ჯაბაგოვი.

ბელორუსები — მონაწილეთა ყველა ორგანიზაციები მისი რადის თავმჯდომარის აბრამჩიკის მეთაურობით.

თურქესტანი — თურქესტანი სარის ჩვენთან თურქელის მეთაურობით.

უკრაინის საკითხი კი უფრო რთული გამოდ-





ვა. აქ საქმეში ერევა სხვადასხვა ფარეშე ფაქტორები, მათ შორის რელიგიურიც, რომელიც უკრაინულ საზოგადოებას ჰყოფს ორ შეუღრიგებელ ბანაკათ. ერთმანეთის შინაგან წინააღმდეგობის იგამო, ვერც ერთი ბანაკი იქნა ბედღას გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას. ჩვენი სურვილი იყო უკრაინის რადის წარმომადგენლებთან შეთანხმება. მოლაპარაკება გრძელდება და იმედია დადებითად დაბოლოვდება. ყოველ შემთხვევაში თქორი მიმდინარეობას: ერთი — უკიდურესი მემარჯვენები — გალიციელები, რომლებიც შეუღრიგებელ პოზიციაზე დგანან, მეორე რადი, რომელთანაც, როგორც მოგახსენეთ, მოლაპარაკება გრძელდება.

შეკითხვაზე ქართულ ძალთა გაერთიანების შესახებ ბ-ნი გ. კერესელიძე მოახსენებს სესიას, რომ კომიტეტმა თავისი მუშაობის დაწყებისთანავე მიიღო ზომები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან მოსალაპარაკებლად. აირჩია თავის შემადგენლობიდან ორი დელეგატი მათთან შესახვედრად, შავრამ მიუხედავად მრავალი ცდისა, დღევანდლამდე პასუხი ვერ მივიღეთო. კომიტეტი რჩება მათ განკარგულებაში, ვისაც გულწრფელად სურს საქმიანი გაერთიანება. რაც შეეხება „ეთერი დიორგის“ საბჭოდან გასვლას, ჩვენთვის გაუგებარია ეს დემონსტრაცია. არც საერთოდ და არც განსაკუთრებით იმ მომენტში როცა ეს მოხდა, მას არ ჰქონდა არავითარი გასამართლებელი მიზეზი.

სხდომა გადადის მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე. სიტყვა ეძლევა ბ-ნ დ. საღირაშვილს.

**დ. საღირაშვილი.** ჩემთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს ქართველი ძალთა მთლიანობა, რაც აუცილებელია გზას საგარეო მუშაობაში ნაყოფიერი შედეგის მისაღწევად. სამწუხაროდ, ეს არის სჩანს დღევანდლამდე. დაყოფა და უთანხმოება უფრო მწვადად სჩანს პარიზის ქართველობაში და ეს გასაგებია, რადგან აქ არის საქმიანობა. რა არის ამის მიზეზი? მთავრობის საკითხი და რუსებთან დამოკიდებულება. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული მთავრობა დაპყრობის დღიდანვე შეუღრიგებელი ბრძოლის ნიაღვრე დადგა და ერის განთავისუფლების საქმეს ემსახურება. ჩვენს ბრძოლაში ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტია და ჩემის ცნობით, ამას არავინ უარჰყოფს. საქმე ეხება მხოლოდ პოლიტიკის ერთიანობას. შეუძლებელია და მავნე პოლიტიკის გაორება. საბჭოთა ლიკვიდაცია თავის

თავად არმოხდება და ცხადია ჩვენც ჩვენსად გილზე უნდა ვიყოთ და ერთი პოლიტიკით ვიაროთ. ამ მხრივ, სადაო არავის არაფერი უნდა ჰქონდეს. თუ თავისუფალი ქვეყნები ახერხებენ შინაურ უთანხმოების მიყუჩებას გარეშე მტრის წინააღმდეგ, განა ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ? დამნაშავეა ის ვინც ბოიკოტს აცხადებს. შემცდარია და გაუგებარი უკრაინელების პოზიცია. პოზიცია - ოპოზიცია ნორმალურია და სასურველი თუ ის საქმიანია. მართალია ამ მესამედი საუკუნის განმავლობაში ჩვენ რუსებთან ლაპარაკი არ გვქონია, მაგრამ ეს იმიტომ რომ სალაპარაკო არაფერი იყო. ახალი მოვლენა ამერიკული კომიტეტი, ჩვენი ტაქტიკა მდგომარეობას უნდა შეეფარდოს.

მე ვფიქრობ, შეცდომა იყო ვისაბდენში ისე მოუმზადებლად მონაწილეობა. მარტო ის ფაქტი, რომ რუსულად გვიხდება ლაპარაკი საზარალო და მავნეა. რუსები ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ხაზს უსვამენ, რომ ეტრებს მხოლოდ რუსულ ენაზე შეუძლიათ ურთი-ერთ გაგება-ო, რუსებთან დამოკიდებულება რთული საკითხია. მოვეპყრათ ფრთხილად და გადავსტრათ ყველასათვის დამკმაყოფილებლად. მოხსენებიდან ვამოიხრევა რომ შეთანხმება მიღებულია საკოორდინაციო კომისიის გარშემო. რა საჭიროა საბჭო? მასში მონაწილეობა საზიანოა, რადგან რუსულ ენაზე ლაპარაკი აძლიერებს რუსთა პროპაგანდას ერების წინააღმდეგ, დაკმაყოფილებით საკოორდინაციო კომისიით, რადგან სხვანაირად შეუძლებელია რუსებთან საერთო ენის გამონახვა. ამ მხრივ მივმართოთ ჩვენი მუშაობა ამერიკულ კომიტეტთან. ეს იქნება ჩვენი საბჭოს მუშაობის დიდი მიღწევა და ქართველთა გაერთიანების ურყევი საფუძველი. არავის ექნება უფლება მის გარეშე იდგეს. დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ კომიტეტის მიერ ჩატარებულია დიდი ნაყოფიერი მუშაობა. ამის არ დანახვა დაბრმავების ნიშანია. გადადგმულია დადებითი ნაბიჯები და უნდა გავყვეთ მას. მომავალმა კომიტეტმა უნდა შეეცადოს გამონახოს ელასტიური გზა: დასახული გზით მუშაობა გაძლიერდეს და ქართული თავმოყვარეობაც დაკმაყოფილდეს.

**ბ. ურუშაძე.** ბატონებო! საჭიროთ მინაჩნია შესაძლებელ გაუგებრობათა ასაცილებლად მოგაწოდოთ რამოდენიმე განმარტება. თქვენ იცით, თუ რა ატმოსფეროში იკრებება ჩვენი ყრილობა. იცით, თუ რა გააფთრებულ ავითაცის და ცილისწამებას ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ.





ჩვენთვის ექვს გარეშეა ის, რომ ამ კრიტიკის სამ მეოთხედს აკლია პრინციპიალობა და, რაც უფრო სამწუხაროა, ხშირად რიგიანობაც. მსგ. რამ დაუშვებელია ყველა იმით, ვინც ქართულ ეროვნულ საბჭოს პოლიტიკურ ხაზს არ იხიარებს, მივაწეროთ ისეთი განხრახვები, რომლებიც მათ ღირსებას, როგორც ქართველის, დასწევითებს. ამათ მორის ბეჭდი გაუწერეთელი მამულიშვილია და ჩვენ მოვალე ვართ გაურკვევით მათ ჩვენი საბჭოს საკუთარი პოზიცია. ასეთ პირობებში, ჩვენ, უცხოეთში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტები, საჭიროდ ვცნობთ განვაცხადოთ აქ, რომ ჩვენ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობაზე ვაგებთ სრულ პასუხისმგებლობას და გულწრფელი სურვილიც გვაქვს მომავალშიაც ის გავიზიაროთ, ამისათვის კი საჭიროა ყრილობამ იცოდეს, თუ როგორი იყო ჩვენი პოზიცია ძირითად საკითხების შესახებ და რა პირობები უნდა განხორციელდეს, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი, სოც.-ფ-ბის, თანამშრომლობა მომავალ აღმასრულებელ კომიტეტთან.


ჩვენ, სოც.-ფედ-ბს, დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა დასახული გვაქვს ერთი გარკვეული მიზანი და სოც.-ფედ-სტთა პარტიის უცხოეთში მყოფ საზღვარ-გარეთელ ბიუროს აქვს ასეთივე გარკვეული მანდატი: მისი მძებლობისდაგვარად, მორალური - პოლიტიკურ საშუალებით დაეხმაროს სამშობლოდან გადახვეწილ ეროვნულ მთავრობას საქართველოს სუვერენობის აღდგენის საქმეში. ოცდაათი წლის განმავლობაში და დღესაც ჩვენ ამ მოვალეობას ვასრულებთ. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ ერთი წლის წინ, ჩვენ, თუმცა სათანადოდ არ ვიყავით გაცნობილი იმ პოლიტიკურ წამოწყებასთან, რომელსაც შემდეგში ვისბადენი ეწოდა, ჩვენ სოც.-ფედერალისტები, შევედით ამ საქმეში, რადგან მას მესვენებოდა მოძმე პარტია და ეროვნული მთავრობა კი დიდათ თანაგრძნობდა. შევედით აგრეთვე იმ იმედითაც, რომ ჩვენი მათდამი ნდობას მომავალი გაამართლებდა. ქართულ ეროვნულ საბჭოს პირველ ყრილობაზე არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მეორე დღესვე წარგზავნა თავისი ორი დელეგატი ვისბადენში. ქართული საზოგადოებრივი აზრი, ვშიშობ თვით კომიტეტიც, უთუოთ მისი რამოდენიმე წევრის გამოკლებით, ამ საკითხს ვერ იცნობდა სათანადოდ. აქედან დაწყებული ჩვენი, სოც.-ფ-ბის, პოზიცია ხშირად

განსხვავებული აღმოჩნდა წარმოებულ პოლიტიკის თუ ტაქტიკის საკითხებში კომიტეტის უმრავლესობისაგან.

ქართულ ეროვნულ საბჭოს დანიშნულების და ვისბადენის პოლიტიკურ ხაზის გაგების, მნიშვნელობის და ტაქტიკის საკითხებში განსხვავება დღემდე გრძელდება და ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვსცანით დღეს ეს აქ, ყრილობის წინაშე, გავმალეთ, რადგან ჩვენ დღეს და შემდეგ ვინც ვინც ვთვლით ამ პოლიტიკურ ოჯახის წევრებად. ამ მიდგომით ვაფასებთ ჩვენ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ეროვნულ საბჭოდან გამოსვლას, რასაც ჩვენ ვთვლით მიზანშეუწონლად და უკუამართლებლად.

ბატონებო, თქვენ მოგეხსენებათ, რომ დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა, უცხოეთში გადმომხვეწილი ეროვნული მთავრობა ჯერ და შემდეგ მასთან ერთად ქართულ პოლიტიკურ პარტიების დელეგატები აწარმოებდნენ ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც შეგუებული იყო მამინდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებასთან და ეს ბრძოლა ატარებდა გარკვეულ ნიშანდობრივ ხასიათს და ეს მოძრაობა მონათლული იყო „პრომეთეს“ ხანად. ეს ბრძოლა ეყრდნობოდა ერთი მხრივ ჩვენსავე დაპყრობილ და ჩაგრულ ერებს, მეორეს მხრივ იმ სახელმწიფოებს, რომელთა ინტერესები მაშინ ან ევენტუალურად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას. მეორე მსოფლიო ომმა, ძალით გაუთვალისწინებელ ახალმა გადამწიფებამ, რომელსაც შედეგად მოყვა, შეექმნა სრულიად ახალი პოლიტიკური სიტუაცია, რომელმაც გვაძალა საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის ტაქტიკის შეცვლა. მოკლებული ყოველგვარ დამხარე ძალას, რამოდენიმე წლების განმავლობაში ქართული პოლიტიკური იმიგრაცია დარჩა საკუთარ თავის ანაბარა. მას არ გააჩნდა პოლიტიკური მუშაობისათვის ასპარეზი და სწორედ ამ დროს გამოჩნდა პარიზონტზე ამერიკული კომიტეტი და ჩვენ წინ გადაიშალა ახალი პერსპექტივები. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყველა ქართული პოლიტიკური პარტია გაიგებდა ამ მოვლენის მნიშვნელობას, ისარგებლებდნენ ამ შემთხვევით და საერთო ნიდადის გამონახვის შემდეგ, შეეძლებოდა ქართული ეროვნულ საბჭოს შექმნასაც. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველობას,





სანამ თავისუფლება არ მოუპოვებია, ესაჭიროება ეროვნული მთლიანობა და ამ მთლიანობის საკითხი იღებს პოლიტიკურ პრინციპის მნიშვნელობას, ამიტომ ეროვნულ საბჭოს არსებობის საკითხი არ უნდა იყოს დაკავშირებული მიმდინარე პოლიტიკურ ორიენტაციასთან, კერძო შემთხვევაში ამერიკულ პოლიტიკასთან. ამერიკას დღეს ერთი პოლიტიკა აქვს, ხვალი შესაძლებელია ის ისევე ამერიკაში ჩაიკეტოს ან სხვა მიმართულება მოსცეს თავის პოლიტიკას, ყოველ გვარ პირობებში ქართულ ემიგრაციას სჭირდება სახელმძღვანელო პოლიტიკური ორიენტი. სამწუხაროდ ეროვნულ საბჭოს მოვალეობის და დანიშნულების საკითხში აღმასრულებელი კომიტეტი ვერ აღმოჩნდა გაერთიანებულნი.

სირითულები, რომელნიც დაუხვდა, უხდება და შემდეგშიაც დაუხვდება ვისბადენის ხაზს, ე. ი. საბჭოთა კავშირში მომწყდებულ ერების და რუსულ პოლიტიკური ორგანიზაციათა ანტიბოლშევიკური ბრძოლის საერთო მიმართულების მიღების საქმეს, — გამოიწვევლია უმთავრესად მით, რომ ამ წამოწყების მესვეურობა ჩვენ და ერების სამწუხაროდ, ამერიკულ კომიტეტმა მანდლო რუსობას. ამით აიხსნება ის ვარემოება, რომ ვისბადენის შეხვედრის დროს იქ, ერები, ქართველების და ნაწილობრივ ბელარუსების გარდა, ვერ იყვნენ სათანადო და ღირსეულად წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, უცუველია, ერებმა ბევრი რამ დაათმობიეს რუსებს, რაც წინეთ წარმოუდგენელი იყო. სამწუხაროდ, რუსები ადრე ვ. ო. ნ. ს. მოვიდნენ და მას შემდეგ დაწყებული ბრძოლა იმ მიზნით, რომ მათ მიერ ვისბადენში კრებისათვის გაცემული დათმობები უკან წაიღონ, — დღემდე არ დასრულებულა. თვით ვისბადენში მისვლა ერების მხრივ იყო ნაჩქარევი, მათ იქ დაუხვდათ ისეთი პირობები, რომლის შეცვლა მათ ვერ შესძლეს და ამიტომ რუსულ ორგანიზაციებს შემდეგში გაუადვილდათ დაპირების უკან წაღება, ან შეზღუდვა. ჩვენის აზრით ვისბადენის შეხვედრამდე, პირველ რიგში უნდა მომხდარიყო ერების დალაგება, მათი ერთს ორიგანოში გაერთიანება და მხოლოდ ამის შემდეგ, თავის მხრივ უკვე გაერთიანებულს, რუსებისათვის უნდა გავეწოდებია ხელი. ამ აზრის არ განხორციელება ერების მხრივ იყო მნიშვნელოვანი ტაქტიკური შეცდომა, რომლის უარყოფითი შედეგები ჩვე-

ნთვის, ერებისათვის, დღემდე არ გამოსწორებულია.

ვისბადენის შემდეგ რუსულ ორგანიზაციების მხრივ საკუთარი წარმომადგენლების მიერ მიღებულ დადგენილებათა დეზავუაციამ და ანტილოიაციამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ნოემბრიდან სან წლის მარტამდე ერების რუსებთან კოორდირაციის საქმე პრაქტიკულად ოდნავ წინ არ წაწეულა და ამიტომ როდესაც მარტის დამლევს ამერიკული კომიტეტი ჩვენი დელეგატის საშუალებით ჩვენ, აღმასრულებელ კომიტეტს, გვაუწყებს, რომ მას, ამერიკულ კომიტეტს, არ შეუძლია დაუტყდოს ერების და რუსულ ორგანიზაციების მეტი პრობლემტური შეთანხმებას და მას განზრახული აქვს ეხლავე ერების ორიგანოზაციულად ჩამოყალიბება—ეს ცნობა არ იყო ნოლოდნელი აღმასრულებელ კომიტეტისათვის და ის მას მიესალმა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამერიკული კომიტეტი, ჩვენივე დელეგატების საშუალებით ერთი კვირის შემდეგ გვატყობინებდა სრულიად საწინააღმდეგოს, რომ მისთვის ეს გზა, პირველ რიგში—ერების დალაგება და შემდეგში მათი რუსობასთან დაკავშირება,—მიუღებელია. რა მოხდა ამ ერთი კვირის განმავლობაში? ვინ ჩაერია ამ საქმეში? ვინ შეაცვლივინა ამერიკულ კომიტეტს მიღებული განზრახვა?! პირადათ ჩემთვის ეს მოვლენა აუხსნელია. ფაქტი კი ისაა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენმა დელეგატმა, ბ-ნმა ნ. ცინცაძემ, აღმასრულებელ კომიტეტის თანხმობით, როგორც ვისბადენის ყოფილი თავმჯდომარემ, აიღო თაოსნობა დროებით დაშორებულ რუსულ ორგანიზაციების და ერების წარმომადგენელთა ხელახლად შეკრებისა.

საქვო არ არის, რომ ამჟამად მიუნხენში არ არსებობს ერების სასარგებლო ატმოსფერო და ორგანიზაციულ მუშაობის ხელსაყრელი პირობები. თავისთავად ბუნებრივია, რომ რუსები არ სთმობდენ საკუთარ პოზიციებს, მაგრამ დაუშვებელია როდესაც იმავე ორგანიზაციაში ერების წარმომადგენელთა შორის რუსები პოულობდენ თავიანთ ზრახვების მისაღწევად მოკავშირეებს. ამ მეტათ სავალალო მდგომარეობას ადგილი ექნება, მანამ ერები იქ არ წარგზავნიან ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც იქნებიან თავიანთ მოწოდების სიმალეზე. ამ მოცანის ასრულება უნდა დაისახოს ქართულმა ეროვნულმა საბჭომ. თუ ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, ჩვენი, ქართველების, მდგომარეობა ამ





გაერთიანებაში, შეიქმნება მცტათ საეჭვო და სახიფათო. ამის შემდეგ ჩვენ უნდა დავისახოთ პირველ რიგში იმ ორგანოში იქნების დარაზმვა, მათი ერთიანი ფრონტის შექმნა. ამას შევძლებთ, თუ მომავალი აღმასრულებელი კომიტეტი ამ ამოცანის გაგებაში, ამ საკითხში იქნება მთლიანი. ამჟამად ამერიკულ კომიტეტის სიმპატიები შეიძლება იყოს ჩვენი პარტიორების, რუსების, მხარეზე, მაგრამ რამდენათ მე ამ საკითხზე შემოძლია ვიქონია წარმოდგენა, ეს არ არის ამერიკულ კომიტეტის უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხზე და თუ ერები გამოიჩინენ სოლიდარობას, მათ შევძლებათ ამ ორგანოს ჩარჩოებში მოპოვება ისეთ პოზიციების, რომლებიც დააკმაყოფილებენ მათ იროუნულ კანონიერ მოთხოვნებს.

შეიძლება ვადაჭრიოთ და ობიექტიურად ვაღიაროთ, რომ ვისაბდენის ხაზმა ერებს და კერძოდ ჩვენ, ქართველებს, მოგვითანა დადებითი შედეგები, სამწუხაროდ იმხვე მიუდგომლობით უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ამჟამად, ნელ-ნელა იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ თუ ერებმა არ მიიღეს ის ზომები, რომლის შესახებ მოგახსენეთ, ამ წანოწყებას შეუძლია ამ ერების ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. მართალია, სომხების და უკრაინელების ვისაბდენში მიწვევის საქმეში აღმასრულებელმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია, მაგრამ ეს დღემდე არ მოხერხდა. მომავალ აღმასრულებელ კომიტეტმა აუცილებლივ ეს საქმე უნდა დადებითად დაასრულოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ჩვენ ერებს გაუწიოთ სათანადო წინააღმდეგობა რუსულ ორგანიზაციებს, რომ მათ არ გამოიყენონ ეს ორგანო, როგორც ჩანასახი მომავალ სრულიად რუსეთის ხელისუფლებისა.

საჭიროდ მიმაჩნდა აგრეთვე თქვენთვის გამეცნო ჩვენი პოზიცია საერთაშორისო შეხვედრების დროს ენის ხმარების საკითხის შესახებ, მაგრამ ამაზე ჩემი მეგობარი მარკოზ ტულუში ილაპარაკებს.

აღნიშნული საკითხების გარშემო აღმასრულებელ კომიტეტში არ არსებობდა მთლიანობა, და ამან, ბუნებრივია, გავლინა იქონია აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობაზე, გავლინა იქონია კომიტეტის წევრთა ურთი-ერთობაზე და ბევრი რამ შეუძლებელი გახდა.

ჩვენ ვასკენით: 1. უნდა იქმნეს მიღებული ყოველგვარი ზომები, რომ ამერიკულ კომიტეტთან არსებული კავშირი გამტკიცდეს; 2. აღ-

იარებული იქმნეს ანტიბოლშევიკურ ბრძოლის გაძლიერებისათვის რუსულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მაგრამ ამისათვის დაცული უნდა იქნეს როგორც წინასწარი პირობა საბჭოს პირველი ყრილობის დადგენილებები.

ამ ორ მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში გარკვეულობა უნდა დამყარდეს ჩვენს მთლიანობაში. ამ ყრილობამ მომავალ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა მისცეს ჩამოყალიბებული, გარკვეული დირექტივები სახელმძღვანელოდ და მომავალ კომიტეტს შეუქმნას ისეთი ორგანიზაციული საფუძვლები, რომ მან შესძლოს ნორმალურად თავისი ფუნქციების შესრულება.

დასასრულს მთავალი ვთვლი ჩემს თავს, გაცხადოთ იმ ხმების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენი მოწინააღმდეგეები აცრცელებენ, რომ რამდენათაც შეე ეს ვიცი, ჩვენი დელეგატის, ბენ. ცინცაძის, ქცევა, მოქმედება იყო ისეთი როგორც ეს შეფერის ქართველ მამულიშვილს, რისთვისაც მე ნას ვულწრფელ მადლობას ვუცხადებ. აგრეთვე არ შეიძლება არ მოვიხსენიო მადლობით ბენ. ევ. გუგუცკორის შემართებული, შემათანხმებელი მოქმედება, რომელსაც ის, მიუხედავად ყოველგვარ სიძნელეებისა, ეწეოდა ჩვენს მრავალ-ფეროვან კომიტეტში.

ყრილობას ვუსურვებ ნაყოფიერად დაესრულებიოს თავისი მუშაობა.

**ს. მენღარიშვილი.** ბატონებო, წინა ორატორის დასკვნა არ შეიძლება სადაო იყოს. ის უნდა შევიდეს ერთ-ერთ მუხლად მომავალ კომიტეტის მუშაობაში. განსხვავება აქ კი არ არის, არამედ ვისაბდენის შეფასებაში. იყო ეს ხაზი სწორი თუ არა? ეჭვს გარეშეა ეს იყო ჩვენი საქმის გამოფხიზლების დასაწყისი. ქართული საკითხი ამოღებულ იქნა ომის წინა არქივებიდან. დავა საქართველოსა და რუსეთს შორის გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე.

დღეს ამ ასპარეზზე მოქმედობს ორი პოლიტიკა: პოლიტიკა ამერიკის და პოლიტიკა მისი ხელის შემშლელი. ჩვენი შინაური განსხვავება აქედან მოდის. ამერიკულმა კომიტეტმა შეცდომით დაიწყო საქმიანობა. მან მოინდომა შერიგება - შეურიგებელის — რუსეთისა და დაპყრობილი ერების. ეს ორი ძალა ერთი - მეთრეს რიცხვადეს. მათი ინტერესი ანტაგონისტურია. რუსები ვისაბდენში მოვიდნენ შტეტგარდის პროგრამით. მათ იქ დახვდა ჩვენი კომიტეტი, რომლის ეროვნული პოზიცია გარკვეული იყო, რის შედეგად რუსების პოზიცია დაინგრა, მოიხსნა; ეს





არის დიდი დამსახურება. ამერიკული კომიტეტის შეცდომა ის არის, რომ მან იმთავითვე არ მოინდომა მიზნობრივი გაერთიანება რეჟიმის დასასწავრებად, რაც ყველას გვინტერესებს. რა წონა აქვს პირობების მიღებას? როგორც კომიტეტის მოხსენებიდან გამოიკვება საქმე მისულა საკოორდინაციო კომისიამდე; აქ შესაძლებელია საერთო იქნის გამოხატვა და ყველა ძალების დაზარალება. ადვილად დავითანხმებთ ამერიკულ კომიტეტსაც. იერების ფრონტზე კომიტეტის პირველი ამოცანა უნდა იყოს მათ გაერთიანებაზე ზრუნვა, უნდა დავიწყოთ კავკასიელი იერები. საქართველოს დამოუკიდებლობა გულისხმობს კავკასიის დამოუკიდებლობას და პირიქით, შეუძლებელია ჩვენი დამოუკიდებლობას საზღვრად ფოილოს ხიდი დავედოს.

კავკასიის მთლიანობაზე უნდა ავიდეთ ყველა დაპყრობილ ერთს მებრძოლი ფრონტი. ეს იქნება უდიდესი მუშაობა და დამსახურება.

**მ. ტულუში.** მე დიდის ყურადღებით მოვისმინე ბ-ნი ნ. ცინცაძის მოხსენება, რისთვისაც მას მადლობას ვუცხადებ. მოხსენების გარეშე ჩემი უკნაყოფილება უნდა გამოვსთქვა აქ რუსულ ენაზე წაკითხულ ციტატების გამო. ქართულ ყრილობას ეს არ შეეფერება.

ბატონებო! პოლიტიკური მუშაობის მთავარი საფუძველი დამყარებულია ორ მთავარ პირობაზე: **მიზანი** და ბრძოლის თავიდანვე **სწორ ნიადაგზე დაყენება**; თავიდანვე უნდა ვიცოდეთ ვინ შეიძლება იყოს ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე და თანამებრძოლი და ვინ არის და უეჭველად დარჩება ჩვენი შეურიგებელი მოწინააღმდეგე. თუ ჩვენს დღევანდელ მოქმედებას ასეთი თვალსაზრისით შევისწავლით, ჩვენთვის აშკარა გახდება რომ ჩვენი მიზნის — საქართველოს სუვერენობის **აღდგენის** განხორციელებისათვის საჭიროა ბრძოლის დროს, ჩვენი მოკავშირენი იქნებიან მხოლოდ ჩვენს დღეში მყოფი იერები და ჩვენი გააფრთხილებული მტერი არის და დარჩება რუსის პოლიტიკური ძალა, რადგონისაც არ უნდა იყოს ის. მაშასადამე, ის ხაზი რომელსაც ჩვენ მივყავართ რუსის პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობისაკენ თუნდაც ანტიბოლშევიკურ საერთო ფრონტის ქურქში გახვეულია, წინაწინვე უარყოფით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ასეთი დასკვნამდე ჩვენ მივალთ თუ მოვიფიქრებთ წარსულს და ჩავუკვირდებით დღევანდელ მდგომარეობას. ყველანი იძულებული ვართ უდავოდ ჩავთვალოთ ის მოვლენა

ნა, რომელსაც ადგილი ქონდა პირველი რუსული დემოკრატიული რევოლუციის დროს. მოვლენა რომელმაც ნათლად გამოაშკარავა, რომ რუსეთში არ არსებობდა არც ერთი პასუხისმგებელი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ერთა თავისუფლების პრინციპის ცხოვრებაში გატარება დასაშვებლად მიეჩნო. პირიქით, რუსის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ყოველი საშუალებით ხელი შეუშალეს დიპლომატიური ენის ემანსიპაციას და მთლიანი რუსეთის იმპერიის გადარჩენა წმინდა და მთავარი მიზნით გაიხადენ. იმდროს კი საზოგადოებრივი აზრი გაცილებით უფრო იდეალისტურად იყო განწყობილი. დღევანდელი მდგომარეობა უფრო რთულ სახესღებულა. ყოველი რუსი, უაღრესი დემოკრატიც რომ იყოს სოციალურ და ადამიანის უფლებათა საკითხში, უწინარეს ყოვლისა — დიდი რუსეთის მომხრეა და ამ მიზანზე ხელს არ აიღებს. მე საესებით დარწმუნებული ვარ რომ არც შიგ რუსეთში და არც რუსულ ემიგრაციაში — შეიძლება რამოდენიმე პიროვნებათა გამოხატვისით — ერთა თავისუფლების იდეის გულწრფელად მომხრე ძალა არ არსებობს. მაშასადამე, რუსული ძალები ჩვენი მიზნის და ჩვენთან ერთად სხვა რუსეთში ძალით მოქცეულ ერთა თავისუფლების საქმეს ყოველგვარი საშუალებით შეებრძობებიან.

შეიძლება დაუშვათ რომ ანტიბოლშევიკურ ბრძოლის პირველ ფაზაში — ე. ი. ახლანდელი რეჟიმის მოსპობის საქმეში ჩვენსა და მათ შორის მოკლე მანძილზე საერთო მოქმედება არის შესაძლებელი, მაგრამ ამ ფაზის დასრულების პირველ დღიდანვე დღევანდელი ანტიბოლშევიკი რუსი ცარიისტულ-ბოლშევიკური იმპერიალისტურ პოლიტიკის მქმედდრე გახდება და დიდი რუსეთის აღდგენას შეუფერება. რუსი, ბატონებო, უკრაინაზე, დონეცის ბასეინზე, ბაქოს ნავთზე, შავი ზღვის კარებზე თავისი სურვილით ხელს არ აიღებს. დაპყრობილმა იერებმა თავიანთი უფლებები ძალით, შეიძლება ხელახლად სისხლის ღირით, უნდა მოიპოვონ. მე დარწმუნებული ვარ რომ შიუნენის რუსობა თაღლითობენ, გულწრფელნი არ არიან და ცდილობენ რუსული საქმე გააკეთონ. ჩვენ სიფრთხილვ გვმართებთ, რადგან ევროპის და შერებულული შტატების მმართველი წრეები ეროვნებათა საკითხს აღმოსავლეთ ევროპაში არ იცნობენ, რასაც შედეგად მოყვა რუსების ბერლინში გაბატონება. ვისბადენის ექსპერიმენტი, მე





ამაში დარწმუნებული ვარ, რუსების ორპირობის გამო, ფიასკოთი დასრულდება. ამის უტყუარი ნიშნების ნახვა ძნელი არ არის, თუ მათ პროექტებს და მათ მიერვე ასპარეზე გამოყვანილ ყოვლად უპასუხისმგებლო პირების — სომეხი, უკრაინელი და სხვათა რუსოფილთა — საქციელს იხილავთ. ისინი უკვე შეუდგნენ პატრიოტულ ემიგრანტების ამ გზით დაშლას.

ჩვენი გზა სხვანაირი უნდა იყოს. ბრძოლით და ჩვენ გვიარ ინტერესების შქონე ერებთან ხელი-ხელი ჩაკიდებული მოქმედებით უნდა შევეცადოთ ჩვენი თავისუფლების აღდგენას. ასეთი მუშაობა დღესვე უნდა დაიწყოს. საამისო ნიადაგი უეჭველად არსებობს. სხვანაირი პოლიტიკური გეზი ჩვენს დიდ მიზანს ვერ ემსახურება.

ღმერთმა ქნას რომ ჩემი შიში არ განხორციელდეს და მიუნხენში ჩვენი სამშობლოს სასარგებლო საქმე გაკეთდეს. მაგრამ, — ორპირი პოლიტიკის მატარებელ ძალებთან თანამშრომლობა რომელსაც ადგილი აქვს, ვიმეორებ სრული მარცხით დასრულდება. ჩვენ სოც. - დედერალისტები ამ ექსპერიმენტის დასრულებამდე ჩვენ დღევანდელ პოზიციებზე დავრჩებით და ყოველ საშუალებით შევეცდებით, რომ ჩვენმა ერთგულმა მუშაობამ მოკლე ხანში სწორი და მთლიანი სახე მიიღოს.

**რ. ყიფიანი.** ბატონებო, უნდა დავიწყო ბატარა ერების კითხვიდან. ლაპარაკია ამით გაერთიანებაზე. ეს ძალიან კარგია. რომ მოხდეს იქნება უდიდესი მიღწევა. მაგრამ დღემდის ეს წარმოდგენს დაუძლეველ სიძნელეს. გამიგონია თბილისში რუსის მეფე, ვგონებ ალექსანდრე შესამე მოსულა; მის საპატრივციენტლოთ შეკრებილ თავად - აზნაურობისადმი მიმართულ სიტყვაში სხვათა შორის უთქვამს: ვიცი ჩემი ერთგული ხარო, ჩემი შეილი ჩამბარებია, იმედი მაქვს იმასაც ერთგულობას გაუწევთო.

თავადებიდან ერთს — ერთს თავს უხუმრია: მეფეა და ჩემი შეილის მიბარება მინდოდა; ეს კი გამოვიდა და თავის შეილს მე მბარებდაო. ეს ერთს თავის ხუმრობა იმიტომ მოვიყვანე, რომ ბატარა და თითონ მოსახმარებელი ვართ. სხვა ერების დაწყობა და დიდ ძალით გამოყვანა იმათ რომ დავანებოთ, ვინც ამის მთავარი ინციტორია, და ვინც კიდევ ბოლშევიზმის წინააღმდეგ უძლიერესი მოპირდაპირე, იქნებ უფრო თავის ადგილზე ვიქნებოდით.

ძალიან დიდი ფიქრი და სიფრთხილეა საქი-

რო, თორემ ვაი თუ შეუძლებელი არ დარჩეს ზოგიერთი ერის ეროვნული ბრძოლა სულ სხვა მიმართულების გამოვიდეს, ვიდრე ჩვენი და მასთან ვერ გამოვიწყოთ. ამავე დროს შეიძლება ამ ნიადაგზე რუსის სოციალისტურ და დემოკრატიულ წრეებში ჩვენმა განწყობილებამ განიცადოს სიძნელე. მთავარი კიდევ ის არის, რომ ჩვენი ხალხი სდგას უწყალო და სისხლიანი ძალის წინ, რომელსაც ყველაზე უკეთესად ეხერხება ცოდვის და უბედურების მოწყობა, და რომელიც არ გაუტრბის არამც თუ პიროვნების, არამედ მთელი ერის დასრჩობას.

აქ ნალაპარაკებიდან ისე გამოდის თითქოს მთელი ჩვენი ამხები ვისბადენში და ვისბადენიდან დაიწყო. ამას უნდა შესწორება. ამერიკაში ქართველებმა რადიო - გადაცემა მოაგვარეს ვისბადენის წინ. ყველამ იცის რუსების სოციალისტურ და დემოკრატიულ წრეებშიდაც იყო და არის ნაყოფიერი მუშაობა. ამას წინათ ბ. კ. გვარჯალაძემ სიმართლე დასწერა და აღნიშნა, რომ რუსები ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საკითხს მხარს უჭერდნენ, სანამ იმათ არ იფიქრეს, რომ ჩვენ გადავედით მიუღებელ კომბინაციების ძებნაზე. დარწმუნებული ვარ ვისბადენში ქართველებმა იმუშავეს მთელი თავის ძალით. ბ. ნ. ცინცაძის თავმჯდომარეთ ამორჩევა კარგია. ეს ალბათ იმ მნიშვნელობის შედეგაც არის, რომელსაც რუსები ჩვენ ქვეყანას საერთოთ და კერძოთ სოც.-დემ. პარტიას აძლევენ.

ქართველებში ეხლა მწვავეთ დგას რუსებთან დამოკიდებულების საკითხი. სამწუხაროთ გვარი აღარ მახსოვს: თბილისის მახლობელ სოფელში ერთი გლეხი, ისე მომკვდარა, რომ მტკვარზე გაცეხულ კუკიის დიდ ხილზე არი გასულა — რუსის გაკეთებულისა, არ მინდაო, ამბობდა თურმე. ჩვენში თანამოაზრე მას არ ყოლია და ხილზე ყველა დადიოდა: ოლონი აქ, ემიგრაციაში კი უნდა იყვნენ მისი მიმდევრები. საკმარისია რუსი ახსენო, ან რუსულათ დაილაპარაკო, ვილაცას უთულოთ გააჯავრებ. აქაც თქვეს თითქოს რუსის ხალხზე გადაბმის ცდა ამერიკელების შეცდომააო.

მე არა მგონია, ამერიკელებმა არ გაითვალისწინეს, რომ ამ რუსის ხალხმა ჯერ ნაპოლიონი დაამტკრია და ამ ბოლოს კიდევ ევროპიის ძლიერი ჯარი დაამარცხა. რუსეთი დღეს ციხეა და ამ ციხეში რუსის ხალხს სხვაზე ნაკლებათ არ იხრჩობა ბოლშევიზმის მიერ დადებული ბორკილების ქვეშ. უბედურის და ბედნიერის შეწყობა ადვილი არ არის. მაგრამ შინ და გარეთ ერთნა-





ირათ გაჯახირებული ხალხის შეკავშირება და მოსისხლე მტერზე წაყვანა, შეცდომა კი არა უდიდესი სიბრძნეა.

ქართველებს გვაქვს გვარიანი გამოცდილება. რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობაში ჩვენ ვითამაშეთ კაი დიდი როლი. ისე იცვისმოდა, რომ ეს თვითმპყრობელობა ერთნაირი ჯალათი იყო რუსისა და ქართველი ხალხის. ამიტომ მას ვებრძოდით რუსის ხალხთან ერთად და გადაყირავდა კიდეც. ამის მაგიერ რომ თვითმპყრობელობა და რუსის ხალხი ერთად გადაგება და გვეძახა: ძირს რუსეთი, ეს იქნებოდა უდიდესი მოხმარება თვითმპყრობელობის.

იგივე მდგომარეობაა დღეს. ოღონდ თვითმპყრობელობის ადგილი უკავია გაცილებით უფრო სისხლიანსა და ჯოჯოხეთურ ძალს. და არაფერი არ იჩვენებს, რომ სხვა და სხვა „ლაგერებში“ გაჯახირებული და პირდასრულებული სიკვდილის წინ დაყენებული მრავალი მილიონი რუსები თითქოს ნაკლები სიმტკიცით დაარტყამენ უხამიან ბოლშევიზმს, ვიდრე თუნდაც ქართველები. ოღონდ ამის მოგვარება ადვილი არ იქნება მისთვის, ვინც ბოლშევიზმს და რუსეთს არ გაარჩევს და დაიძახებს: **ძირს რუსეთი.**

ბოლოს უნდა ვთქვა ერთი იმედი, რომელიც მე მაქვს. ბოლშევიზმის მოპირდაპირეთ გამოვიდა უძლიერესი ძალები. ასე მოაწყო თითონ ბოლშევიზმმა. ასე იანგარიზა ბედმა და დრომ. ემიგრაცია აღარ იდგას ეხლა განმარტოვებული პირველ რიგში. თუ ბოლშევიზმმა გაიმარჯვა, აქ ყველამ იცის, რა იქნება. მაგრამ თუ იგი გარედან ვინმემ შეარყია ან შეინიდან შეიწყა და გაჯახირებულმა ხალხმა თავის წამოწყება მოახერხა, მაშინ, როგორც ბოლშევიზმის მიერ შექმნილმა წვალეზამ დაჩრდილა ყველა წინანდელი უბედურება, ისე ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელშიდაც იგი მოჰყვება, დაჩრდილავს ყველა გადატრიალებას და აჯანყებას. იმ დროს, როგორც მუდამ საუკუნეების განმავლობაში, ქართველი ხალხი იზამს იმას, რაც მის მდგომარეობას მიუდგება. კითხვა უნდა გადაჭრას დიდმა მოვლენებმა, რომელსაც პატარა ხალხი და მით უფრო ენიგრაცია ვერ მოაწყობს.

პატარა შენიშენა ბ. სალიას გამო. ცოტა უფრო რომ აღრე, ვიდრე საბჭო შესდგებოდა საუბარი ნქონდა ზოგიერთ ჩემ მეგობრებთან. ჩემი აზრით ჩვენი გზა პატივცემული მიხილი წერეთელისა და სალიასს ვერ მიუდგებოდა, რომ ისინი სხვების გამოზრდას თითონ აწარმოებენ და იმით ჩვენ ვერ გამოვზრდიდით და რომ ამიტომ ამ ხალხზე გადაბმა იქნებოდა უნიადაგო. იმ დროს ამერიკელების ამბავი ახალი იყო. არა ერთი ფიქრობდა: ოღონდ ხელი გავწიო და აბა ვინ არ მემომიერთლებო. ვინ უწინ გასწია ხელი მე არ იცი. მაგრამ შეერთება მოხდა. ერთგული საბჭო შესდგა და მალე გამოვიდა ჟურნალი — „ბედი ქართლისა“. აქ სრულის გარკვევით იყო აღნიშნული სურვილი და მუშაობის გეგმა პატივცემული მიხილი წერეთლისა და სალიასი. ეს რუსებთან თანამშრომლობა კი არა, უფრო მოთხოვნა იყო ამათი შეხედულების მიღებაზე. აი, აქ უნდა დასმულიყო კითხვა და გარკვეულიყო მდგომარეობა. ეს არ მოხდა. ერთი წლის შემდეგ წავიდა სალია, რაზე?

ამერიკელებმა გადასწყვიტეს ბოლშევიზმთან ბრძოლაში სხვათა შორის დაემყარონ თითონ რუსის ხალხს — მის დემოკრატიულ ძალებს. შემდეგ ამას მიღმატეს რუსეთში შემავალი ერები. იმით არა უთქვამთ, რომ ამ რუსეთში შემავალ ერებში ყველაფერი ქართველებმა უნდა მოაწყონ. თანაც ბ. ცინცაძემ ძლიერი სწორათ აღნიშნა: მოცემულია ერთი ხაზი, სხვა არ არსებობს და ვისაც მუშაობა სურს, უნდა წავიდეს ამ ხაზით.

ქართველებში ზოგჯერ ხდება გადაბმა ისეთ საკითხების გარშემო, რომელზედაც სხვა და სხვა აზრის არიან. აქ თავიდანვე იბადება შეჯიბრება ზურგის უკან მოქმედებაში, მოხერხებაში და თავისი აზრების სხვისადმი ხელოვნურად მოხვევაში. აქედან კარგი არასოდეს არაფერი გამოსულა და არც გამოვა.

თავმჯდომარე: ორატორთა სია დაიჩეს ღიათ და დრო განისაზღვროს 15 წუთით — მიღებულია ერთხნად.

ამით დამთავრდა საბჭოს სესიის მეორე სხდომა.

ს ს დ ო მ ა მ ე ს ა მ ე

სხდომა გაიხსნა დილის 9 საათზე. თავმჯდომარეობს ბ-ნი კიტა ჩხენკელი. რ. არსენიძე იძლევა წინადადებას, დროს მოსაგებად, კომიტეტის მასალები წესდების შესწორების შესახებ

გადაეცეს წინა სხდომაზე არჩეულ კომისიას სათანადო პროექტის შესამუშავებლად. — მიღებულია. გრძელდება კამათი აღმასრულებელ კომიტე-





ტის მოხსენების ფარგლებში. სიტყვა ეძლევა ვ. ჩუბინიძეს.

**ვ. ჩუბინიძე.** ბატონებო! ჩვენ კარგათ ვიცით ვინც საქმეს აკეთებს, ის ყველას ვერ დააკმაყოფილებს; ოპოზიცია კარგია, მასია არა გარედან, უნდა იყოს შიგნით და მაშინ გაიგებ ყველას. მე ორხელ მოვისმინე ნოე ცინცაძის მოხსენება ჩვენს ორგანიზაციაში და ცრთხელ საჯარო კრებაზე ბ-ნ გ. კერესელიძის თავმჯდომარეობით. მამინ თითქოს შეჩერდა თავდასხმა, ზურგს უკან ჩურჩული—გაყიდეს საქართველო, გარჯუნდნ და სხ. ასეთები, რაც სწარმოებდა ოჯახებში, ეკლესიაში ხელის მოწერით, რომ არ მისულიყვენ პირველ ყრილობაზე. მეორე ყრილობისათვის ფურცელი გამოსცენ, რომ არ მისულიყვენ, რასაც ნათლადდენ სოც.-დემოკრატიების კონგრესათ. საქაც იგივე: გაყიდენ საქართველო, წავიდენ კერესელიძისთან, აღარ არის 26 მისი და სხ. რა უნდა ვსთქვა ამის შემდეგ! იწერება ჯაზეთში პიროვნებებზე მრავალ-ნაირი ინსტრუქციებით, არ ერიდებიან, არ ზოგავენ არც ეროვნულ მთავრობას, არც დამფუძნებელი კრების წევრებს. რამდენი უნდა გაგახსენოთ! თითქმის ყველა ქვეყნებში მათი გამოცემა არის სწორეთ იმათ წინააღმდეგ, ვინც დაიცვა ჩვენი ქვეყანა და მისი დამოუკიდებლობა. მასხოვს ერთი დიდი კრება მეტეხის ციხეში 1922 წელს, როცა გენუის კონფერენციაზე ჩიჩერინი დაუშვეს, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. ამ კრებაზე გრ. ლორთქიფანიძემ თავის შესანიშნავი სიტყვა დაათავა ასე: თავისუფალ საქართველოს რომ მეორე ინტერნაციონალმა ომი გამოუცხადოს, მე პირველი ვიქნები მოწინავე ხაზზე და კაუტკი ხომ დიდო მეგობარია ჩვენი ქვეყნის, მასაც კი არ დავინდობ და თოფს ვესვრიო.

ხანდახან ჩემს თავს ვეკითხები — რაშია საქმე: მე ერთი ღერი რუსული არ ვიცი და რუსობას მებრალეებენ, დამბრალეებები კი ოჯახში დაც რუსულათ ლაპარაკობენ, ბევრი ოჯახი ვიცი, სადაც სტუმრობისანობასაც სულ რუსებს ნახეთ. ჩვენ ფეხშიშველმა მთლებმა ყველაზე პირველათ გამოვედით ქუჩაში და გადავარჩინეთ ჩვენი ქვეყანა. მასხოვს, მარტო სომხების ომში 32 კაცი სულ ჩვენი ძველი ამხანაგები დავგიხიცეს. მე ბ-ნ გ. კერესელიძეს დიდი პატივს ვცემ, რომ ის არის შიგნით და კოლეგიალურათ ეწევა თანამშრომლობას. თუ მთავარში ვართ შეთანხმებული, არა მთავარში ყოველთვის შეი-

ძლება დავა და კამათი. უმთავრესია ნდობა იყოს. თუ არ ენდობი ადამიანს — ამაზე უარესი არაფერია, — ყოველთვის პატარას გაზრდი და დიდს დააბატარავებ.

მე ვფიქრობ ცოტა ნაკლი აქვს ჩვენს აღმასრულებელ კომიტეტს. რაც დღეს მე აქ მოვისმინე ბ. ცინცაძის მოხსენება — ეს რომ ადრე ყოფილიყო, იქნებ „თეთრი ვიორჯი“ ულები არ გასულიყო საბჭოდან. მე კმაყოფილი ვარ მოხსენებით და არაფერს ვამატებ იმას, რაც თქვეს ბ.ბ. ს. შენაღარმა და რ. ყიფიანმა. ინფორმაციები უნდა დროზე მიეცეს ყველას და გაუგებრობაც აღარ იქნება. მე მაინც იმედი არ დამიკარგავს და ეზიარებ ბ-ნ კახაბერის წერილს, რომელიც დაიბეჭდა „მებრძოლ საქართველო“-ში, რომ შერიგება მამაც უნდა მოხდეს და ჩვენმა საბჭომ და კომიტეტმა უნდა მიიღონ ზომები გართიანებისათვის, მაგრამ ოპოზიციამაც უნდა ხელი აიღოს ისეთ პრობაგანდაზე, რომელიც საერთო საქმეს ენებას აყენებს. აბა გადახედეთ ზოგიერთ გამოცემებს. ასეთი გამოცემა შეიძლება დღეს მხოლოთ მტრის ბანაკში და თავისუფლათ, ამისათვის არავინ დაგიჭერთ. მე გავათავებ ჩემს სიტყვას იმით, რომ ყველაფერი ექნათ, რომ გავერთიანდეთ.

**გ. ერაძე.** ბატონებო, ამ ყრილობამ უნდა გარკვეულათ და ნათლათ სთქვას, იზიარებს აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური ხაზს, რითაც კომიტეტი ხელმძღვანელობდა თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში თუ არა. უნდა პასუხი გაეცეს ორ კითხვას: პირველი — იყო თუ არა ჩვენი თანამშრომლობა ამერიკულ კომიტეტთან ქართველი ერის ეროვნულ ინტერესებთან შეთანხმებული; მეორე — იყო თუ არა ჩვენი დამოკიდებულობა რუსებთან ანტი-კომუნისტური საერთო კავშირის შესაქმნელათ ჩვენი ეროვნული საქმიანობისადმი მიზანშეწონილი.

მე გულდასმით მოვისმინე, ბ. მ. ტულუშის სიტყვა, მაგრამ ვერ გავიგე თუ რა უნდოდა მას ეთქვა. მისი დებულება რომ დაჩაგრული ერები 160 მილიონს შეადგენს და საჭიროა მათი გაერთიანებაო. რას უნდა ნიშნავდეს ეს? მას სურს ეს 160 მილიონი გაერთიანებული დაჩაგრული ერები დაუბირდაპირის რუსებს, თუ ეს უნდა რუსებსთან თანამშრომლობის დამატებათ? ამაზე მან ამკარა პასუხი ვერ მოგვცა.

ბ-ნი ტულუშში კარგათ სწერს ისტორიას, მაგრამ ასევე კარგათ ვერ აკეთებს თვით ისტორიას. მან ვერ აუღო ალლო დღევანდელი არსებულ ის-





ტორიულ მოვლენებს, რომელშიაც თვითონაც არას ნომქმედი და მონაწილე. აქედან წარმოსდგება მისი მერყობა და შიშით შეპყრობილი პოლიტიკა, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს პოლიტიკურ მოღვაწეს.

სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ საესებით ვიზიარებთ აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და მის წარსულ ერთი წლის ნამუშაოს ვთვლით სწორს და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ.

ამერიკული კომიტეტი ეს იყო ციდან ჩამოვარდნილი მანანა და ჩვენ ჩავიდინდით დიდ დანაშაულს ჩვენი ერის წინაშე, რომ მისთვის ხელი გვეკრა და ზურგი შეგვექცია. ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტის მასთან თანამშრომლობამ ეს უკვე აშკარათ დაამტკიცა.

მეორე კითხვის შესახებ ხშირათ გვეკითხებიან: რაშია საქმე, რომ ამდენს ხანს ჩვენ რუსებს ვებრძოდით, მთელი ერი დაპირდაპირებული იყო რუსის ერთან და მის სახელმწიფოსთან, დღეს კი ასე უტბათ შემოატრიალეთ პოლიტიკა და რუსებთან თანამშრომლობას საჭიროთ აღიარებთ, ჩვენი თავისუფლების მოსაპოვებლათ მათთან კავშირში შეიღებართ.

ბატონებო, ჩვენი ერის დამოუკიდებლობის და ჩვენი ხალხის თავისუფლების აღდგენა არის ჩვენი ახლობელი მიზანი, მიზანი **მტკიცე, ურყევი და უცვლელი**, ნხოლოდ სრულიად სხვა არის გზა და საშუალება, რითაც გვსურს ამ მიზნის განხორციელება. ბრძოლის ფორმა, ტაქტიკა სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გარემოებაში ხშირათ იცვლება და სხვაფერდება, რათა ის მუდმივათ იყვეს შეწონილი და შეკავშირებული ახალ შექმნილ ვითარებასთან.

როდესაც რუსეთი ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა, მთელი რუსის გლეხ - კაცობა შეგნებულათ და ხელალებით მოსკოვის კომუნისტური მთავრობას მხარს უჭერდა და მას მისდევდა. ქონდა კიდევ ამაში მას საბუთი, რადგან ბოლშევიკების წინამძღოლობით მათ თავიდან მოიშორეს მემამულენი და მიწები დაიტაცეს. მაშინ ჩვენი ერი თავს იცავდა და პირისპირ ედგა როგორც ერი და როგორც სახელმწიფო რუსეთის სახელმწიფოს და მის ერს. ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი საკუთარი ძალით გამკლავება და უთანაბრო ბრძოლაში დავმარცხდით. შეუდექით ქომავის და დამხარის ძიებას დაკარგული უფლების აღსადგენათ, ასეთი დამხმარე ძალა ჩვენ ვერ ვნახეთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. მაშინ ვერა-

ვინ მიხვდა და არავინ ფიქრობდა თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა მსოფლიოსათვის მოსკოვის კომუნისტის არსებობა. დამხარების მაგიერათ გერმანელებმა რაბალოს ხელშეკრულობით პირველი ჩასცეს ჩვენს საკითხს ლახვარი; მას მოყვნენ სხვა სახელმწიფოები და ვისგნითაც ცნობილი ვიყავით მათი კავშირი გააბეს მოსკოვთან, იცნეს ბოლშევიკური მთავრობა და ყველგან გაუქმეს ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელობა. ინგლისის მუშები ხომ თავდავიწყებით გადახოდნენ: „სესხი საბჭოებს, სესხი!“-ო.

იმ ხანათ ჩვენ და სხვა დაჩაგრული ერები დავრჩით ყოველმხრივთ განმარტოებული.

ამ 30 წლის განმავლობაში ქვეყნათ ბევრი რამ შეიცვალა, როგორც რუსეთში ისე მსოფლიოში. მართალია რუსის ბოლშევიკური სახელმწიფო გამართლდა, გაიზარდა და გამაგრდა, მაგრამ ვარეთ მას აღუდგა მთელი თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნები და შიგნით მას გადაუდგა თვით რუსის ხალხი—კომუნისტური რეჟიმისგან მოტყუებული და ფეხ-ქვეშ გათელილი რუსის გლეხკაცობა, რომელიც ისე განიცდის ეკონომიურ და სოციალურ ჩაგვრას, როგორც სხვა ერები. ეს მდგომარეობა მას ხდის ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთ, მის მტრათ. ბოლშევიკებმა იმ მიზნით რომ დასწოდნენ და გაესწოთ ამერიკისთვის, სოფლის მეურნეობაში და ქალაქის წარმოებაში, მათთვის ექლარ გამოდგებოდა ძველებური უვიცი და უსწავლელი მუჟიკი, ამიტომ მათ მოფინეს ყველგან შკოლები და სასმითხველოები, რითაც ასწიეს რუსის გლეხის თვითონობიერება. დღეს რუსის გლეხკაცობა თავის მდგომარეობით და შეგნებით არის კომუნისტური რეჟიმის მტერი. აი რა შეიცვალა და რა აადვილებს ჩვენს ბრძოლას. ამ ახალ შექმნილ პირობებში იქნებოდა უდიდესი პოლიტიკური სიბეცე, რომ რუსის ხალხის იტოლვას კრემლის დიქტატურის წინააღმდეგ ხელი არ შეუწყობთ და რუსს, რომელიც დღეს ჩვენ არ გვებრძვის, მხარში არ ანოუდგეთ ბოლშევიკური რეჟიმის დასამხობათ. მოსკოვის არსებული რეჟიმის წაქცევა არის აუცილებელი და წინასწარი პირობათგანი ერთი განთავისუფლების გზის გასაკავათ.

**რ. არსენიძე.** ჩვენი ფრაქცია დიდხანს საერთო პოლიტიკურ მუშაობის გარეშე იდგა. ჩვენ ის არ მოგვწონდა და ვაქტივობდით. მაგრამ ვიბრძოდით შიგნით, ქართველი საზოგადოების რიგებში და არასოდეს ბრძოლა გარეთ, უცხოელებში არ გადაგვიტანია. არც მეორე ცენტრი შევექ-





ნია. ჩვენი პოზიცია იყო იდეურ - პოლიტიკური, რაც ყოველ საზოგადოებაში ნორმალურია. არა ნორმალურიათ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ორი ერთი - მეთორეხე დაპირდაპირებული ცხითი საბარუ-ლი.

როცა ჩვენს იდეებს პრაქტიკული განხორციე-ლების დრო დაუდგა, ჩვენც ჩავებით პოზიტიურ მუშაობაში. ეს პრაქტიკული გზა გახლდათ მსო-ფლიო დემოკრატიულ მოძრაობასთან გადახმა ჩვენი ქრის განმათავისუფლებელი ბრძოლისა და და როცა ეს შესაძლებლობა დაისახა ჩვენს წინა-შე — ამერიკულ კომიტეტის სახით, ჩვენ აქტი-ურათ ჩავებით ამ საქმეში.

დარწმუნებული ვართ, ქართველობას, შეუქ-ლით ამ გზაზე თვალსაჩინო როლი ითამაშოს და მგონია ჩვენი კომიტეტის ერთი წლის მუშაობამ ეს დაამტკიცა. მართალია, ქართველ ემიგრანტ-ებს ვერ მისცა ყველას დაკმაყოფილება. ეს შე-უძლებელი იყო. მაგრამ მთავარი მიზანი და აზ-რი საზღვარი - ვარჯეთ მუშაობისა იმამია, რომ გა-რემე მეგობრულ დემოკრატიულ ძალებსათვის, რომელნიც დღეს საბჭოთა დიქტატურას სანკ-დრო - სასიცოცხლოთ უპირდაპირდებიან, დაგვე-ნახვებია, ქართველების პოლიტიკური სიმწიფე და ეროვნული ღირებულება. დაგვენახვებია, რომ დემოკრატიულ კაცობრიობაში ჩვენ ვაგვე-გება რამე და უნდა გვექნეს სათანადო ადგილი მოცემული.

აი ამისთვის ჩვენ არ დავერიდეთ არც რუსულ დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენ-ლებთან დაჯდომას, — კომუნისტური დიქტატუ-რის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საწარმოებ-ლადა, თუმცა ეს ზოგიერთებს არ მოსწონთ და გვისაყვედურებენ.

ჩვენ გვწამს, ბატონებო, რომ რუსეთში დემო-კრატიის გამარჯვება — სტალინის დიქტატურის ნანგრევებზე — ჩვენი ეროვნული ინტერესების თვალსაზრისითაც უეჭველათ დიდათ გამოსადე-გია. მაგრამ ამის დასაბუთებას აქ არ შეუდგები, ეს არა ერთხელ გვითქვამს და დავისაბუთებია.

აქ მინდა დღეს ორიოდე სიტყვა ვითხრათ „რუსეთის დარღვევის“ ლოზუნგის შესახებ. რომ რუსებისათვის მტკივნეულია დიდი რუსეთის და-შლა — ეს გასაგებია. განა ჩვენ კი არ დავგწავ-და გულს, რომ მაგალითად ვთქვათ, აფხაზეთმა მოიხსროს ჩვენგან ჩამოშორება და რუსეთს შეეცდლოს, ან ცალკე ვადგეს?

მაგრამ საკითხი იმაში კი არ არის, რომ „სასა-ყვედური“ ვებოთ, არამედ იმაში, სასარგებ-

ლოს თუ არა ჩვენი ბრძოლისა და მიზნისათვის ასეთი ლოზუნგის წამოყენება. გარდა იდეური მოსაზრებისა, მე ის ტაქტიკური და პოლიტიკუ-რი მოსაზრებითაც მანებლათ მიმაჩნია ჩვენი ქრისათვის. აბა შენგდეო. თვით დიდი და უძლი-ერესი ამერიკის შეერთებული შტატებიც კი არ აყენებენ ასეთ ლოზუნგს, ისინიც კი რუსის ერს არ უპირდაპირდებიან, პირიქით, მის შიგნით ეძ-ებენ მომხრეებს და თანამეგობრთ და ჩვენ რათ უნდა ავეკიდნოთ ამ სახიფათო ავანტიურას?

განსაკუთრებით სახიფათო მიმაჩნია ასეთი ლოზუნგი ჩვენი იმიტომ, რომ საქმე გვაქვს საშინელ, სისხლის მოყვარულ ტერორისტულ დიქტატურასთან! ნუ, დავივიწყებ ბატონებო, რომ მცირე აზია, რომლის საზღვარზე ჩვენ ვი-მყოფებით, ერთა სასაფლაოთ არის ცნობილი. და ეს სასაფლაო აზიურმა დესპოტებმა გათხ-რეს. მოსკოვის აზიურ დესპოტებმაც ხომ არა ერთი ერის მთლიანი გაუღეტით ისახელა თავი გასული ომის ხანაში?

ამიტომ არ უნდა მივეცეთ მოუფიქრებელი ლოზუნგებით საბაბი ამ სისხლიან რეჟიმს ჩვენი ერის განადგურებისა, რასაც ის არ დაერიდება.

ჩვენ, რასაკვირველია, უნდა დავიცვათ უდავო უფლებები ჩვენი ერისა და სხვა დაზარულ ერ-ებსაც გაუწიოთ თანაგრძობა, მაგრამ ამისთვის სრულიად საკმარისია მიღება „ერთა თვითგამო-რკვევის“ დემოკრატიული პრინციპის, რომელიც უდავო აღიარებულია და მიღებული მთელი გა-ნათლებული კაცობრიობისაგან, როგორც საუკე-თესო საშუალება ეროვნული საკითხის გადაჭრი-სა. ამ პრინციპს, ვერც რუსის დემოკრატიის გაქ-ცევა, თქვენ იცით მან იგი მიიღო. ქართველების შესახებ ეს პრინციპი უკვე განხორციელებულათ აღიარა, რაც სამართლიანია. თუ რუსეთს ამ პრი-ნციპის მიხედვით ჩამოშორდებიან ერთი ან მრავ-ალი ერები — ეს სრულიად ნორმალურია და მსოფლიოს თანაგრძობაც მათ მზარეზე იქნება.

არც იმას დაუშლის ვინმე თუ შემდეგ კავ-შირს გააბამენ ერთმანეთში და სხ..

აი ამიტომ ჩვენ „დარღვევის“ პრინციპის მა-გიერა ვაყენებთ „ერთა თვითგამორკვევას“.

ერთი საკითხი კიდევ. რუსული ერის ხმარების აკრძალვა, რაზედაც აქ იყო ლაპარაკი. უნდა მო-ვახსენოთ რომ ეს პოლიტიკური ბრძოლის მე-თოდია არაა. ეს მხოლოდ ერთა მოძულეების და გაღიზიანების საშუალებაა და მეტი არაფერი. ენას ჩვენ უნდა შევხედოთ კულტურული თვალ-საზრისით. სხვის ენას პატივსცემდეთ და ჩვენი





ენის პატივისცემა მოცილობით. იძულებით თავზე მოხვევას არც რუსული ენისას მივიღებთ, არც სხვა ენისას. ჩვენი სურვილით არც ერთი ენაზე ლაპარაკს არ ვითაკილებთ. მენობლის ენის უცოდინარობა ძალიან სახიანოა. ჩვენ, კავკასიის ერები რომ ერთმანეთის ენას არ ვსწავლობთ, ამის გამო ერთმანეთის ისტორიას და კულტურას ვერ ვეცნობით, იცით რა დაბრკოლებას გვიქმნის ეს გარემოება გაგებისა და გაერთიანების საქმეში? თუ ვიცით, ასე უნდა შევხედოთ დიდი მიეზობელი ერის ენასაც — არც მეტი, არც ნაკლები.

ჩემი დრო გავიდა. ამიტომ მოჭრით ვამბობ: შექმნილ პირობებში კომიტეტმა გააკეთა მასქსიმუმი იმის, რაც შეიძლება გაკეთებულიყო. ძირითადი მისი ხაზი სწორია და აუცილებლად გასამაგრებელი. ჩვენ ვხედავთ მის ნაყოფს, თუნდაც ამერიკაში ჩვენი ერის პრესტიჟის აწევას.

თუ უკეთესი გზა და საშუალებები გამოჩნდება, რასაკვირველია, არ დავერიდებათ, მივიღებთ მას! მანამ კი ვაყუყუთ აღებულ ხაზს.

**გაგი წერეთელი.** აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა უსათუოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ დღეს, ჩვენი თავყრილობის მოვალეობა ტაშის დაკვრა და ქების შესხმა კი არ არის, არამედ, ობიექტიური კრიტიკა და განვლილ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე მითითება, რათა მომავალში მაინც შესაძლებელი გახდეს მათი აცილება.

პირველი საკითხი, რომელზედაც თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო, ვახლავს ქართული ემიგრაციის პოლიტიკური მთლიანობის საკითხი. მართალია, აღმასრულებელმა კომიტეტმა მემკვიდრეობით მიიღო მძიმე მდგომარეობა. დიდი ხნით ადრე უკვე ქართული ემიგრაცია ორი ბანაკად იყო ჩამოყალიბებული. ერთგული საბჭოს საინციატივო კომისია თავის დროზე შეეცადა ამ მტკივნეული საკითხის მოგვარებას. მაგრამ, მაშინ ჩვენ ეს ვერ შევძელით, რადგანაც ამისათვის არა საქმარისი დრო გვქონდა და სიმართლე უნდა ითქვას, ვერც ისეთი რეალური ბაზის გამოჩნება შევძელით, რომელიც დასძლევდა პიროვნულ თუ ჯგუფურ თავმოყვარეობის გრძობებს.

ერთგული საბჭოს პირველმა კონგრესმა ერთსულოვნად დავალება მისცა აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მას ყოველი ზომი ეხმარა, რომ გამოენახა ბაზა და საშუალება სასურველი მთლიანობის განსახორციელებლად. სამწუხაროდ,

კომიტეტს ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაუკეთებია. და თუ ვააკეთა ისე მცირე, რომ დადებითი შედეგი მას აქედან არაფერი არ მიუღია, პირიქით. მოხდა ქართული ემიგრაციის კრისტილიზაცია ორი ბანაკად. შედეგი: ერთსულოვანი და ძმური-მეგობრულ მუშაობის მსაგებრად, ერთი-ერთ ხელის შემლა და ურთიერთ შორის ბრძოლა.

როგორც იქნა იმის შემდეგ ქართული პრესას მოვესწარით. მაგრამ რას ვაგვს დღევანდელი ქართული პრესა?

იმის მაგივრად რომ ქართულმა ემიგრანტულმა პრესამ იდეოლოგიური ბრძოლა გააჩალოს ბოლშევიკებისა და საბჭოთა არა აღმინაური რეჟიმის წინააღმდეგ, იგი თავს იქცევს ერთმანეთის მიმართ ქუჩური ლანძღვა-გინებით, ცილისწამებით და ვაბიაბურებით.

კომიტეტი სუსტად აწარმოებდა აგრეთვე ინფორმაციის საკითხს. კომიტეტი არამც თუ ფართო მასებში არ აწარმოებდა ახსნა-განმარტებას თავის მუშაობის შესახებ, არამედ თვით საბჭოს დებუტატებიც მოკლებული ვიყავით ხშირად ჩვენთვის შეტად მნიშვნელოვან ცნობებს. ამის გამო ადგილი ჰქონდა ხშირად მითქმა-მოთქმებს, ჭორებს და გაუგებრობას. მე ვფიქრობ, რომ ამის გამო საბჭომ დაჰკარგა ბევრი მისი თანამგრძობი და მეგობარი.

რაც შეეხება კომიტეტის მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას, მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ მის მიერ წარმოებული მუშაობა ცალმხრივი იყო. ე. ი. ის განისაზღვრებოდა ვისბადენის ხაზით. მაშასადამე ამერიკულ კომიტეტის საშუალებით რუსის მებრძოლ ემიგრაციასთან საერთო ხაზის გამოჩნებაში. ხოლო ამის გარეშე მას არ უწარმოებია აქტიური მუშაობა მცირე ერებთან და კერძოდ კავკასიელებთან საერთო ფრონტის შესაქმნელად. პოლიტიკის წარმოება გრძობებით შეუძლებელია. ხოლო ქართული სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს კავკასიის ერთა საერთო პოლიტიკას. მე შეიძლება ცნობები მაკლდეს და თუ ამ მხრივ იყო რამე კონსტრუქტიული გაკეთებული, მაშინ მე უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები.

ყველაზე შეტად მტკივნეული საკითხი ჩვენთვის, რუსებთან დამოკიდებულების საკითხია. ზოგი ჰფიქრობენ, რომ ეინადან რუსეთმა ჩვენ ორჯერ დაგვიპყრო, ჩვენი ნათთან თანამშრომლობა შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელ პირობებში ეს ხაზი შემცდარია. რადგანაც





საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსის ერის ჩაბმას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენც ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამის გარეშეც, საქართველოს მომავალი ინტერესი გვიკარნახებს რამდენადაც შეგვიძლია კარგ დამოკიდებულებაში ვიყოთ რუსეთთან, რადგანაც დამოუკიდებელ საქართველოსთვის, დიდი ხნის განმავლობაში კიდევ სანამ ჩვენს ეკონომიკას გარდავქმნიდეთ, შეტად მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის ბაზარი. ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტს საწყისი ხაზი — ამერიკის კომიტეტის სავალდებით რუს ემიგრანტულ ორგანიზაციებთან ბრძოლის საერთო ხაზის შესაქმნელად — სწორად და სამართლიანად მიმაჩნია. ჩვენ არავისთან არც მოლაპარაკების და არც თანამშრომლობის არ უნდა გვეშინოდეს. თანამშრომლობა მხოლოდ გარკვეულ პირობებით შეიძლება. ჩვენი რუსებთან თანამშრომლობა ქართველი ერის სუვერენული უფლებებით განისაზღვრება. და რუსებმა არა მარტო სიტყვით არამედ საქმით უნდა დაგვიმტკიცონ, რომ ისინი ამ მხრივ ლოიალურად არიან ჩვენს მიმართ განმსჭვალული.

თქვენ ბრძანეთ ბატონო ნოე, რომ დღეს საკითხი დგას საკოორდინაცია ცენტრის შექმნისა. ეს კარგია. ჩვენთვის შეიძლება ყველაზე უფრო სასურველი იყო საკოორდინაცია ორგანიზმის შექმნა მაგრამ, როგორი იქნება ამ ორგანიზმში წარმომადგენლობათა თანაფარდობა? თუ არ რუსის წარმომადგენელზე, ერთი ქართველი იქნა მაშინ ერთი ათის წინააღმდეგ როგორ შესძლებს დაიცვას ჩვენი ეროვნული ინტერესი, რაგინდ ღირსეულიც არ იყოს ეს ერთი წარმომადგენელი?

ერთა თანამშრომლობა, თანასწორობის პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა ამ ერთა სიდიდიდან და სიმცირედან.

**გრ. ურატაძე.** ბატონებო! დღეს აქ მოხდა საკვირველი ამბავი. კომიტეტის დავალებით მოხსენება გააკეთა ბ. ნ. ცინცაძემ. მისი მოხსენება ეხებოდა კომიტეტის მთელი წლის მუშაობას. და ამ ვრცელ მოხსენებიდან თითქმის ყველა ორატორებმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრეს და შეჩერდნენ მხოლოდ ვისბადენზე. რატომ? ალბათ იმ იტომ რომ ვისბადენი არის ის მიჯნა, სადაც დამთავრდა ის პოლიტიკა, რომელსაც ვაწარმოებდით ათეული წლების განმავლობაში და დაიწყო სრულიად ახალი. მოხდა სრული გარდატეხა და ასეთი რადიკალური გარდატეხა ყოველგან და ყოველთვის იწვევს აზრთა აღრევას, ხმაურს,

აურო - ზაურს, ერთი - მეორის დაპირდაპირებას აქ საზოგადოებრივი ძალები იმლება შეჩვეული ადგილიდან, იწყობიან ახალ პოზიციებზე, ეძებენ ახალ საომარ იარაღს და სხ. და რა გასაკვირია, რომ ყოველივე ეს იწვევდეს ხმაურობას და შეხლა - შემოხლას. ამიტომ ჩვენ ამან არ უნდა შეგვაშფოთოს. ჩვენ არც იმან უნდა შეგვაშინოს თუ ამ ახალი პოლიტიკას უმრავლესობა არ იცოლება, რადგან თუ პოლიტიკა სწორია, ის თვითონ გაიკვლევს გზას და თავის მსვლელობის პროცესში ადვილად შეიძენს მომხრეებს და შემოკრებს თავის გარშემო.

ვისბადენის უდიდესი დამსახურება, ბატონებო, იმაშია, რომ აქ საჯაროთ გამოტანილ იქნა ეროვნული საკითხი, აქ საჯაროთ დაუპირდაპირდა ერთი - მეორეს რუსი და არა-რუსი ერების ინტერესები და მოთხოვნილებანი და როგორც ძველ რომში საჯარო არენაზე სამკვდროსასიცოცხლოთ იბრძოდნენ გლადიატორები, ისე აქ თავის ქვეყნის ინტერესების დასაცავათ იბრძვიან ეროვნული ინტერესების მეთაურნი და მებაირახტრენი.

რას ითხოვენ ერები, რას უპასუხებენ რუსები — ამ საკითხები, რომელნიც ასე აშკარათ, ასე ყველას დასაანახავათ და გასაგონათ დადგა ვისბადენის პოლიტიკური არენაზე მთელი მსოფლიოს წინაშე. მე სრულიად შეგნებულათ ვხმარობ სიტყვა მსოფლიოს, რადგან ვისბადენის მოლაპარაკებას მართლაც რომ მთელი მსოფლიო ადვენებს თვალ - ყურს, რადგან სწორეთ აქ არის თავმოყრილი ის, რასაც „რუსეთის პრობლემას“ ეძახიან. ერთი მხრით ეგრობა და ამერიკა, რომლებიც დაინტერესებულნი ამ მოლაპარაკების დადებითად დასრულებაში და ამავე დროს კონკრეტიულათ ეცნობა და სწავლობს რუსთა და არა-რუსთა ურთიერთობას და ერთმანეთში დავას და მეგობრის ერების დამოუკიდებლობის საკითხი სწორეთ ახლა ამ დავაში წყდება საბოლოოთ თავისუფალი ქვეყნების შეგნებაში და გადაწყდება თუ არა ის დაჩაგრულ ერების სასარგებლოთ — ეს დამოკიდებულისა იმაზე, რა უნარს, წინდხედულებას, შორსმჭვრეტელობას და ტაქტს გამოიჩენენ ამ ერთა მესვეურები. და როცა ასეთ პირობებში, ამ მსოფლიო ასპარეზზე, ამ ჩაგრულ ერთა მეთაურათ გამოდიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი — განა ეროვნული თავმოყვარეობის დაკმაყოფილება ამაზე მეთათ კიდევ შეიძლება!

მეორეს მხრით, ამ დავას გადააკიცებით თვალ-





ყურს ადევნებს საბჭოთა კავშირი. და ეს არც გასაკვირია, რადგან თუ ევროპა—ამერიკისათვის ეს არის საკითხი პოლიტიკის, საბჭოთა რუსეთისათვის ეს არის საკითხი არსებობის, სიკვდილ-სიცოცხლის. ამიტომაც, რომ ის მთელი თავის ბნელი ძალებით შემოჭრილია სხვადასხვა კანალებით ემიგრანტულ წრეებში და სხვადასხვა ლოზუნგებით ცდილობს მის ჩაშლას.

რასაკვირველია, ვისბადენის პოლიტიკა არაა ადვილი საქმე, მას ბევრი, ძალიან ბევრი, დაბრკოლებები ექნება გადასალახავი, ისიც კი არ ვიცით ჯერ, დამთავრდება შეთანხმებით, თუ დაიშლება საბოლოათ. ამიტომ ჩვენ ეს პოლიტიკა კი არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მზა-მზარეული, არამედ როგორც პროცესი, რომლის ნსვლელობაში მონაწილეობით უნდა გადავლახოთ ყოველ-გვარი დაბრკოლებანი.

აქ თარიღდნენ სიტყვა რუსებთან ურთიერთობაზე. ეს საკითხი, ბატონებო, რთულიცაა და ადვილიც. რთულია თუ მას მივუდგებით ისტორიულათ, ბიოლოგიურათ, როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან, მარა თუ მივუდგებით პოლიტიკურათ ის არც ისე ძნელი დასაძლევია. პოლიტიკაში, ბატონებო, ვადამწყვეტია ანგარიში. არის თუ არა ჩვენთვის ანგარიში, რომ ამ საერთო ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს რუსებმა? არის თუ არა ჩვენთვის ანგარიში, რომ ას მილიონზე მეტი მცხოვრები დავიპირდაპიროთ და ჩვენი უფუნური ტაქტიკით მტრის ბანაკში მივდენოთ? საკანარისა დასვება საკითხი ასე (სხვაფრთხილ არც შეიძლება დასვება), რომ ამაზე დადებითი პასუხი მივცეთ.

არის, ბატონებო, კიდევ ერთი მძებრი-წყნო მომენტი ამ საკითხში შემოჭრილი და ორიოდ სიტყვა ამასევე უნდა მოგახსენოთ. არც ერთი ერი, რუსეთის ყოფილი იმპერიისა, არ არის ისეთი სავალალო პირდაპირში, როგორშიაც არის ჩვენი ქვეყანა. არც ერთი ერის ტერიტორია არ სძევს ომის პირდაპირ საზღვართან, გარდა საქართველოსა, უკრაინა, ბელორუსია, თვით რუსეთი, იმდენათ დაშორებულია ასეთ საზღვართს, რომ სანამ ომის ტალღები მას ეხებებოდეს, გაივლის კვირეები თუ თვეები არა და მით ხალხს ეძლევა დრო და საშვალეობა იფიქროს თავის გადაარჩენაზე. ჩვენ? ჩვენი ქვეყანა ხომ პირდაპირ საზღვარზეა, სადაც მილიონიანი ჯარი უკვე სდგას და ომის გამოცხადებისთანავე მის ტერიტორიაზე ზარბაზნების ყუმბარები დაიწყებს გრიალს და ენაა თავდები, რომ ეს ჯარები

შიგ არ შევა და ჩვენ ხომ ვიცით რას ნიშნავს საოკუპაციო ჯარების შესვლა ქვეყანაში და ამ განსაცდელის დროს არ უნდა იყოს ვინმე, რომელიც შეეცდება მინიმუმამდე დაიყვანოს მოსალეონელი საფრთხე? ანდა, როცა ომი გათავდება—რას გარანტიას, რომ ეს ჯარები იქიდან გამოვლენ, ანდა ომში მონაწილეობისათვის ჩვენი ქვეყნის ხარჯზე კომპენსაციას არ მოითხოვს? და აი როცა ერთი და ქვეყანა ასეთი ტრალიკული ბედის წინაშე სდგას, არიან პოლიტიკოსები, რომლებიც იმაზე იბრძვიან თუ რომელ ფორმულაში სად მძიმეა დასამულო და სად წერტილი, ანდა რომელმა რუსმა სად რა სთქვა და ვის როგორ შეხება! არა, ბატონებო, პასუხისმგებელ მეთაურობას არ შეუძლია აპყვეს ასეთ ფუქსავატ პოლიტიკას. არ უნდა დავიფიქოთ, რომ ერთხელ ჩვენი ქვეყანა უკვე გამოვიყვანეთ ასეთი მდგომარეობიდან ერთი სახელმწიფოს დახმარებით მეორეს წინააღმდეგ. ასევე უნდა მოვიქცეთ ახლაც და მე დარწმუნებული ვარ ქართული პოლიტიკის პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა ყველაფერს იზამს, რომ ახლაც გაუჩინოს ჩვენ ქვეყანას დამხმარე და მფარველი. ეს დამხმარე უკვე ნახულია და ჩვენი, არამც თუ დანაშაული, პირდაპირი ლალატი ექნება, თუ ამას ვერ მოუვლით და ხელიდან გაღმეგბთ...

**კ. გვარჯალაძე.** ჩვენ აქ ბევრი უსამართლო კრიტიკა მოვისმინეთ. მოხსენებაში აღნიშნულ იყო ორი მთავარი მომენტი: დამოკიდებულება ამერიკულ კომიტეტთან და დამოკიდებულება რუსებთან. თქვენ გახსოვთ რა დღეში იყო ჩვენი საკითხი ამ 30 წლის განმავლობაში. მთელი ჩვენი მიღწევა განისაზღვრებოდა თითო-ორიო საზოგადო მოღვაწის თანაგრძობის მოპოვებით. დღეს უძლიერესი ამერიკა დაინტერესებულია ანტიბოლშევიკური ბრძოლის საქმით. ის საშუალებას გვაძლევს ჩვენ ხალხს ვებასოთ და სიმართლედ უთხრათ. ამერიკელებთან დამოკიდებულება აქ ერთხმად გაზიარებულია. უფრო რთულია რუსების საკითხი. ჩვენ გვქონდა გარკვეული წესდება, რომლითაც კომიტეტი ხელმძღვანელობდა—მთავარი იყო ერის სუვერენობა და მისი სახელმწიფოს აღდგენა. ამ პოზიციიდან ჩვენ უკან არ დავიხევია. პირიქით ჩვენ შევანგრიეთ რუსების პოზიცია და მოხდა ჩვენთვის მოულოდნელი ფაქტი.—მათ იცვენს ერების დამოუკიდებლობა, მათი ეროვნული დამფუძნებელი კრებით. კერძოთ საქართველო, ხუთი რუსული ორგანიზაციის ერთსულოვანი დადგენილი-





ბით, გათანასწორებულ იქნა ბალტიის სახელმწიფოებთან. ეს გამონაკლისი არ მიიღეს პატარა ერებმა. ჩვენი მოვალეობა და ინტერესია მათ ანგარიში გავუწიოთ. იქნებთან მოლაპარაკება ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია. ჩვენი პლათფორმა იყო არა დაპირისპირება რუსებისადმი, არამედ ერთად მუშაობა და ჩვენი უფლებების დაცვა. მოლაპარაკება კავკასიურ ერებთან უკვე დასრულებულია და 18 ოქტომბერს შესდგება მათი ყრილობა, რომელიც აირჩევს მუდმივ კორგანოს. ყველა საჭირო ძალთა გაერთიანება, მათი საერთო მიზნისაკენ მიმართვა — ასეთი უნდა იყოს ჩვენი მიზანი. ეს რთულია და ხშირად სახიფათო; ამიტომ აუცილებელია სიფრთხილე და შეუზღუებლობა იქროვენი მიზნის მისაღწევად.

მე მინდა იარიოდესიტყვებით ჩვენს მეგობარ სოც.-ფედერალისტებს მივმართო. მე მომჩვენა რომ მათ განზრახვა აქვთ შესწყვიტონ საბჭოში თანამშრომლობა. ჩვენი მიზანი — ერის სუვერენობის აღდგენა — იქითა და განუყოფელი. იგი საერთოა მით უფრო თქვენთან. ტაქტიკური განსხვავება შესაძლებელია და ნორმალური, მაგრამ ჩვენი ვალია ერთად ვეძიოთ გზები და ერთად ვემსახუროთ ერთგულ საბჭოს. აქ არის თქვენი მოვალეობაც.

**ტარასი წულაძე.** აქ უკვე საქმარისათ ილაპარაკეს საერთო პრობლემებზე. ამიტომ მე ბევრი არაფერი დამჩენია დასამატებელი.

მას შემდეგ რაც მოსკოვის იმპერიალიზმა თავის მხამიანი კბილები დაქრიჭა, ყველა სათვის აშკარა გახდა, რომ მასთან მიქსობლათ მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელია და რომ თვით რუსეთში არაერთარი პროგრესი არ არსებობს ნორმალურათ განვითარების და აღმნიანურათ ცხოვრების აწყობის. ამით ძირი გამოეთხარა იმ მესამე ძალის თეორიას, რომელიც იმედს ამყარებდა რუსეთის შინაგანი ნორმალური განვითარებით, შინაური და საგარეო სურთიერთობის მშვიდობიანათ მოწყობის. დღეს მსოფლიო ორათ არის გაყოფილი და ბრძოლა მიდის სამეცდრო - სასიცოცხლო. დემოკრატიული ფრონტს ამერიკელების მეთაურობით უფლება არ აქვს ეს უკანასკნელი ბრძოლა ბოლშევიზმთან წაგოს, ვინაიდან მაშინ მსოფლიო მონობის უღლის ქვეშ ვარდება და საუკუნობით ნაბრძოლი კაცობრიობის მიერ მონაპოვარი აღმნიანური უფლებები, ნორალი და ეკონომიური წარმოება დაიღუპება — ამიტომ ყოველივე წვეთი ენერჯისა უნდა იქნეს დარსზმული და გამოყენებული და როგორ

შეიძლება დაუშვათ, რომ ამ ბრძოლაში რუსები იქნეს გამორიცხული, როდესაც საქმე თვით რუსეთის ეხება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ციხე მიგნიდან გატყდება. მე წინააღმდეგი ვარ, შესაძლებლობაც რომ იყოს, მარტო საქართველოსთვის ომის გამოცხადება — რადგან ეს იქნებოდა კორეის ამტების განმეორება. ამის შემდეგ რა გასაკვირის თუ გუშინ ჩვენ ერთი მეორეს ვებრძოდით, დღეს ომის და რევოლიუციის ტაქტიკას უწინ არ იხიარებდენ. ცხოვრება იქით წერტილზედ არ წერდება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ბრძოლის პროცესში ქართველი ერი მთლიანათ დარსზმება და შეგვეძლება ჩვენს სამშობლოში ჩვენი კანონები ჩვენ თვითონ დავსწეროთ. — ჯერ-ჯერობით საბჭოს და კომიტეტის მუშაობას პროგრესი ეტყობა, ვისურვოთ მომავალ წელს კიდევ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყოს მისი მუშაობა.

მე ვეთანხმები მარკოზ ტულუმს იმაში, რომ ჩვენ უნდა დავირაზმით ინტერესების მიხედვით, მაგრამ ეს დებულება ხომ ჩვენი, სოც.-დემ. არის, ჩვენ ამაზედ ვართ აღზრდილი. რაც შეეხება რომ რუსული ენა არ უნდა ვიხმართო, ჯერ ერთი რომ რუსული ენა თითქმის მეორე ენა მსოფლიოში, შემდეგ — ენა არის მხოლოდ სამშენება და იარალი აზრების გაცვლა - გამოცვლის.

ჯერ, ბატონებო, ბევრი ეკლიანი ვეს გვაქვს გასავლელი და ამ გზაზედ რაც უფრო მეტი ვიქნებით მით მეტი დამზმარე აღმოვეჩინდება, და ამ თ უფრო გავადვილებთ ჩვენი მიზნების განხორციელების მიღწევას.

**მ. ტულუმი.** ბატონებო! მე საჭიროდ მიმჩნია ჩემი სიტყვით გამოწვეული ზოგიერთ გაუგებრობის გაფანტვა. ჩვენ, სოც.-ფედერალისტები ეროვნულ ბრძოლაში უკან არასდროს დავრჩენილვართ. ეს არის დროში არ. ჯორჯაძის, დეკანოზიშვილის და სხვათა, რომელსაც ჩვენ დამლა არ დავუშევთ. პირველი გაუგებრობა — ენის საკითხი. მე სოციალისტი და დემოკრატი ვარ და ბუნებრივად პატივს ვსცემ ყველა ერს, მის ენას, კულტურას და მზად ვარ მათი დანიუკიდებლობისათვის ვიბრძოლო. მე ეთანამშრომლობ ვადმონვეწილთა ორგანიზაციებში, სადაც ჩვენ მოვანერხეთ მტრის ენაზე არ გველაპარაკა. დაუშვებელია რუსული ენის ჩვენგან ინტერნაციონალური ენად ცნობა. ჩემის ფიქრით ეს არ ნიშნავს თვით ამ ენის სიძულვილს; ეს მოსაზრება გამოდის ჩვენი ბრძოლის ინტერესებიდან. მეორე შენიშვნა — მე არ მილაპარაკია რუსე-





თის დაშლამდე, არამედ რუსეთის იმპერიის. რუსეთის სახელმწიფო ჩვენთვის მისაღებია. რუსეთი - რუსებს, საქართველო - ქართველებს — აი ჩემი პლატფორმა. ამ მიზნის განსახორციელებლად მე აუცილებლად მიმჩნია სხვათა შორის კავკასიის ერთა სოლიდარობა. სამწუხაროთ, გამოცდილებით ვიცი, ერის საკითხის გადაწყვეტა ყოველთვის არ ხდება მისი წარმომადგენლების დასწრებით. პოლონეთი, რომლის დევიზები მტერს ებრძოდნენ, მისი სურვილის წინააღმდეგ მისდა დაუკითხავთ გასწირეს პოლიტიკურმა ბეცებმა, დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა. ჩვენი ერთად-ერთი მოკავშირე ძალა ჩვენს ბედში მყოფი ერებია, რუსებთან თანამშრომლობა შეუძლებელია, ის დამთავრდება ფიასკოთი. ჩვენი ბრძოლის ინტერესი მითხროვს რუსთაგან გამიჯვანს. ასეთია ჩვენი აზრი. ერის საქმე ვერ ფაკეტდება იქ, სადაც არ იქნება ყველა დაჩაგრულ ერთა კვალიფიციური წარმომადგენლები. ამ ერთა პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობა, ჩვენ ახლობელი ამოცანათ უნდა გავიხადოთ.

**3. ტულუში.** ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა მოხდა წარსული წლის ოქტომბერს. ამ საბჭოს ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“-ს პირველი ნომერი გამოვიდა ამ წლის იანვარში. „მებრძოლი საქართველო“-ს პირველი ნომრის მეთაური ამბობს: „მიზანი ჩვენი გაჩვენებულია და უდავო. საბჭოთა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა“. მეთაური იქვე დასძენს: „საჭიროა ეროვნულ ძალთა გაერთიანება. მართალია 20-21 ოქტომბრის ყრილობაზე ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა იყო წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ გვინდა უფრო მეტი სიმრავლე, მეტი მთლიანობა იყოს მიღწეული“.

მე არ მგონია, საბჭოთა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენის წინააღმდეგი იყოს ვინმე.

წინააღმდეგობებს ადგილი უჩნდება საშვალეებში და ეს საბჭოც სწორედ იმისთვის უნდა იყოს მოწოდებული, რომ მან გამოიხატოს საშვალეები და გზები ჩვენი მიზნის მისაღწევად.

ერთ ღირსეულ საშვალეებადაც მთა მთა ჩვენს ემიგრაციაში ყველა ქართული ძალების დარჩენა და ერთ ფერხულში მათი ჩაყენება. აქ ჩვენ ვხდებით სიძნელეს ქართულ საზოგადოებაში საშვალეების და გზების გამოძებნაში. თუ რომ

ემიგრაციის მთლიანობა შეუძლებელი გახდა, მაშინ არავითარი ღირებულება არ აქვს — ერთნი მოენათლოთ რუსოფილებათ და მეორენი კი ურანაციონალისტებათ. მაგრამ უნდა იყოს ზომები მიღებული პოზიციების ნათლათ წარმოსადგენათ.

მეორე საშვალეა გახლავთ დაახლოება იმ ერთა წარმომადგენლებთან, რომელთა საწინააღმდეგო იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩვენი და მათთან ერთად ბრძოლა კომუნისტურ რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ ჩვენს, საქართველოს განმთავისუფლებელ ბრძოლისათვის საჭიროა რუსების დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალებთან დაახლოება და მათში ჩვენთვის სასარგებლო პრაპაგანდისტების გამოხატვა. ჩვენ, მათთან, რომლებიც საქართველოსათვის — ბოლშევიკების დაცემის შედეგ — ავტომატიურათ სუფერენობის აღდგენის მომხრეა, ხელი - ხელ ჩაკიდებული უნდა ვიბრძოდეთ საერთო მტრის დასამარცხებლათ. ჩვენ არასოდეს არ უნდა გამოვიდეთ რუსი ერის წინააღმდეგ. ჩვენი ბრძოლა უნდა იყოს მიმართული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ყველას ერთად სულს გვიხუთავს.

ასეთი იყო ირ. წერეთლის და მისი თანამოაზრეების შეხედულება ბოლშევიკებთან ბრძოლაში თავიდანვე ე. ი. პირველი წლებიდანვე და დღესაც ამ გზით უნდა ვილაღეთ. ირაკლი დაახლოებისათვის ასე ამბობდა: „აბა რა ანგარიშია პატარა საქართველოსათვის ამ ვებერთელა ერის მის მტრათ გამოცხადება. რა ანგარიშია წამ და უწამ ელზნებოდ — აუცილებლათ რუსეთი უნდა დაეანგრიოთ და ამისათვის ყველა ნაირი კომბინაციები ეძებო, რომელიც არა თუ დამოუკიდებლობას დაგვიბრუნებს, არამედ საფრთხეში ჩაადგებს თვითონ საქართველოს ფიზიკურ არსებობას“.

დღეს, ერთის მხრით, ჩვენდა საუბედროთ, კომუნისტური რეჟიმი უფრო ძლიერა ვინემ 20 წლის წინეთ — ტერიტორიალურათ და რიცხვობრივათაც. მაგრამ, მეორე მხრით, საბედნიეროთ, ჩვენც დიდი ძალები შემოგვემატა: მთი მერ დაპყრობილი ერები ჩვენი თანამგზავრების და მათთან ერთად დასავლეთ ევროპის დემოკრატიაც ჩვენთან ერთად ებრძვის კომუნისტურ რეჟიმს.

რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და არავისათვის დასამალავი, ეს ის რომ, ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობს ბოლშევიკებთან საწინააღმდეგო ბრძოლას. მხოლოთ აქვე





უნდა მოვავიკონოთ, რომ ამერიკას სრულიად მიზანში არ აქვს ამოღებული რუსის ერი, არამედ ის რეჟიმი, რომელიც ყველა იერებს სულს უხუთავს და მათ შორის რუს ერსაც.

ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ადმირალი კერკი აცხადებს: „თუ რომ სტალინის რეჟიმი ჩვენ შტრატ გვევლინება, მის მიერ დამონებული საბჭოს კავშირის იერები ჩვენ გვევლინებიან მეგობრებათ“ და კერკი დასძენს: „რუსი ერი თვითონაა პირველი და უფრო მეტად დატანჯული მსხვერპლი კომუნისმისა, და მათთანავე, პირველი შესაძლებელი მოკავშირეც, თავისუფალი ქვეყნების კომუნისტურ საშროებასთან ბრძოლაში“.

შეიძლება მთლიანათ არ დაეთანხმით კერკს, მაგრამ ერთი ნათელია, რომ ამერიკა იბრძვის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ და არა რუსი ერის.

ეს გზა ჩვენთვისაც სასარგებლოა. ჩვენი სამშობლოს ვეოგრაფიული მდგომარეობაც ამას გვიკარნახებს.

**ი. კემულარი.** ბატონებო! მე უპარტიო ვარ და ობიექტურად მინდა გელაპარაკოთ. შეხვედრების დროს სალაპარაკო ენას მე შგონია მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ენაზე იქნება ლაპარაკი. საქმე გაკეთდეს და დეე ილაპარაკონ რა ენაზედაც სურთ. არც რუსული ენაზე ლაპარაკია ცოდვა და არც სხვაზე. ჩვენ მხოლოდ საქმე გვინტერესებს. როგორც მოვისმინეთ დაწყებულია დიდი ეროვნული საქმე და არავის უფლება არა აქვს აქ არ იყოს. ამერიკა ანგარიშს უწევს ძალას. ძალა ერთობაშია. მე როგორც უპარტიომ შევეცადე ორი ბანაკის შერიგება, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. უნდა შევეცადოთ მუშაობა არსებული პირობების მიხედვით. ეს პირობა ამერიკული კომიტეტია და მასთან კავშირი მიმაჩნია საუცილებლად. ამერიკა დღეს ეერ ილაპარაკებს რუსეთის დაშლაზე; ამაზე არც რუსები წამოვლენ და სტალინიც გაძლიერდება. ეს ხომ ჩვენი ინტერესი არაა! როგორც უპარტიო მე ვთხოვთ შიგნით გაერთიანდეთ და საერთო ძალით განაგრძოთ დაწყებული დიდი საქმე.

**ნოე უორდანი** მიმართავს სხდომას: მე უნდა წავიდე. ვისურვებთ ნაყოფიერი მუშაობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ. თქვენს ხელშია წმინდა საქმე და იმედი მაქვს მას გამარჯვებით დაბოლოებთ. აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეთ საქმიანი და ენერგიული პირები, რომელი

თაც საქმეც სწამთ და მისი სამსახურიც შეუძლიათ. ვისურვებთ გამარჯვებას!

კრება ფეხზე ადგომით და ოვაციებით აცილებს პრეზიდენტს. გრძელდება კამათი.

**გ. ავალიანი.** ორატორი ეხება ქართველთა ცხოვრებას დასავლეთ გერმანიაში და აცნობს სესიას ახალ ემიგრანტთა დემოკრატიულ კავშირის დაარსებას, რომლის წევრებია ითვლებიან ავრეთვე მრავალი გერმანიის გაქვშე მცხოვრები თანამედნისულე. ამ გაერთიანების მიზანია მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ ბრძოლა საქართველოს უფლებებისათვის. მთავრობის დეაწლი დაუფასებელია — ამბობს ორატორი, სხვა ერები შემოგენატრიან ჩვენ.

ჩვენს სათვისტომოში ჩვენი მოვანხრები ფუნქციების განაწილება. კულტურულ და სოციალურ საქმეებს განაგებს სათვისტომო და მისი ორგანოები. პოლიტიკური მუშაობისათვის ვთხოვთ მომართოთ ჩვენს ორგანიზაციას, რომელსაც ამ ყრილობაზე ორი დელიგატი წარმოადგენთ (ავალიანი, ინასარიძე). ჩვენ საკმაო მასალები გვაქვს ჩვენი მუშაობების შესახებ, რომლებიც არ არიან კვალიფიციურად წარმოდგენილი თქვენ მიერ დაწყებულ საქმეში.. მაგალითად ასახელებს ჩრდილო-კავკასიელებს, სომხებს, რომელთა შესახებ უმეტეს: იმ დროს, როდესაც თქვენი დელიგატი ბნი ნ. ცინცაძე, თავამოდებით ამტკიცებდა დაშნაკლების დიდ გავლენას და მნიშვნელობას და მოითხოვდა მათ დაშვებას კონფერენციაზე, მათი პრესა სავსე იყო და დღესაც სავსეა ჩვენი ლანდლაგინებით და უდიერი ცილისწამებით. ამიტომ, ყველა ამ საკითხს უნდა სიფრთხილე და შესწავლა. შეიძლება დავციანებულიც იყოს, მაგრამ საჭიროა სატელიტებთან შორიგება. ვაცხადებ, ერთხელ კიდევ, რომ ჩვენ თქვენთან ვართ მთელი ჩვენი ცოდნით და ენერგიით. ვთხოვთ გამოგვიყენოთ.

**გრ. მოდებაძე.** ბატონებო! სპარსეთში მყოფი ქართველობა მთხოვს გადმოგკეთ მათი გადაწყვეტილება და აზრი: ომის შემდეგ ჩვენი საქმე მიმალული იყო და თითი დაშვებული ვქმონდა. დღეს გამოჩნდა საქმიანობის დიდი სარბიელი. ჩვენ ვდგევართ მთავრობასთან ერთად და ამ გზით ვივლით ურეზერვით თავისუფლების მოსაპოვებლად და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. სხდომა გადაიღო ნაშუადღევს 6 საათისათვის. თავმჯდომარე მოუწოდებს ყრილობის წევრებს დაესწრონ საფრანგეთის ქართველ სათვისტომოს მიერ მოწვეულ აკვისტოს აჯანყების



ს ხ დ ო მ ა მ ე ო თ ხ ე

მსხვერპლთა მოსაგონარი სამგლოვიარო კრებას. თავმჯდომარეობს ბ. პ. სარჯველაძე. გრძელდება კამათი ბ-ნ ნ. ცინცაძის მოხსენების გარშემო. სიტყვა ეძლევა გარეშე საქმეთა მინისტრს ბ-ნ ევ. გეგეჭკორის.

**ევ. გეგეჭკორი.** ბატონებო! ჩვენ საქმეს და წამოწყებას ერთი დიდი მტერი და უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. მტერი მოსკოვია და როგორც ყველგან ის აწარმოებს გაათვრებულ ფსიქოლოგიურ ომს ჩვენი საქმიანობის წინააღმდეგ. მოიგონეთ ვიშნისკის განცხადება შეკავშირებულ ერთა ორგანიზაციის (O.N.U.) უკანასკნელ სესიაზე 100 მილიონიან კრედიტის შესახებ — ეს ჩვენს საქმეებში აშკარა ჩარევია; ჩვენ ამას არ დავუშვებთო. მოიგონეთ ი. ერენბურგის საყვედური ამერიკელებისადმი — ჩვენ არ შეგვიქმნია თქვენს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები; თქვენ კი მოგვიწყვეთ კომიტეტი და სხ. და სხ.

მე არ მაკვირვებს, რომ მტერი დიდი ყურადღებით ეპყრობა ამ მოვლენას. მისი ხელი ურევია ჩვენს არე-დარევაში. ამიტომ ჩვენი ფაქტობრივობა გააორკეცებული ყურადღებით მოგვაყრათ ამ არე-დარევას, რომ დაწყებული საქმე არ ჩაგვეშალოს. ეს მტრის შესახებ. რაც შეეხება მოწინააღმდეგებს — აქ უნდა გავარჩიოთ ორი კატეგორია: ერთნი — ამ საქმეს ებრძვიან პირდაპირ ამბიციებით დასაფლავლნი, დაბრმავებულნი. მათ წინააღმდეგ საზღაურება მე ვერ მომინახავს. დავკამყოფილდი შემდეგი დასკვნით: თუ ჩვენ გონიერათ, ენერგიულად შევსძლებთ დაწყებული საქმის გაშლას — ამ კატეგორიას ადვილად ვძლივთ. მეორე კატეგორიას ვულოწოდელი პატრიოტები, რომელთაც გადასჭარბებული სიფრთხილე უშლის ხელს ეს საქმე მიიღოს და შეითვისოს. ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა მათ დასარწმუნებლად საუკეთესო არგუმენტი იქნება. აქ გამართული საქმიანი სჯა-ბასა მათ რყევას ბოლოს მოუღებს. დიას, ბატონებო! აქ ჩვენ მოვისმინეთ საქმიანი კრიტიკა, მაგრამ ზოგი ადვილები გაუგებრობაზე იყო აგებული. ბ-ნი მარკოზ ტულუში მოითხოვს არ გაუშვათ დროშა, დროშა არჩილ ჯორჯაძის, დეკანოზიშვილის და სხ. ეს შიში და გაფრთხილება უდაოდ გაუგებრობის შედეგია. ნ. ცინცაძის მოხსენება შედგენილი საქმის დიდი სიყვარულით და მისი სამსახურის სურვილით, საკითხს ნათლად არკვევდა. ჩვენი მიზანი არასოდეს არ ყოფილა რუსებთან მისელა.

ჩვენი მიზანი იყო საქართველოს პრობლემის ამერიკის ფარვატურში შეტანა. ვინაიდან აქ მემოიჭრა რუსეთის პრობლემაც, ჩვენ ამ გზით უნდა მივსდგომოდით საქმეს. ბ-ნი ტულუში ხშირად ლაპარაკობს სოციალისტობაზე. რუს სოციალისტებში ერთი ახალი მოვლენას აქვს ადგილი. ისინი უშვებენ უცხო ძალის ინტერვენციას. არის თუ არა ეს მათთან შეთანხმების საქმის საბუთი და ნიდადა? ჩვენი მოვალეობა იყო და არის მათი ინტერვენციის ნიდადაზე შედგომით გვესარგებლა და სათანადო დასკვნები გაგვეკეთებია. ბ-მა ტულუშმა გვიწინასწარმეტყველა ამ საქმის ფიასკოთ დამთავრება. წინასწარმეტყველობა პოლიტიკაში დიდი შეცდომაა. მომავალი გვიჩვენებს თუ რა გამოვა, ხოლო დღეს კი საქმეს დიდი მხანსები აქვს, რადგან რუსების ზოგი ორგანიზაციები ინტერვენციის გზაზე დგანან და ერთა თვით გამორკვევის უფლებას აღიარებენ. ურეზერვოთ აღიარებულია საქართველოს უფლებება, ხოლო მისი განადღება დამოკიდებულია გზნავთ ჯერ ჩვენზე და მერე საერთაშორისო კონიუნქტურაზე. ძველი ფორმულით სიარული მუდამ შეუძლებელია. ომის შემდეგ ჩვენი პრობლემა ქერში კი არა, სარდაფში ეგდო. სატელიტებთან კავშირი ჩვენ ვსცადეთ ორი წლის უკან, მაგრამ იქ ჩვენივეს კარები დაკეტილი იყო. უბედური კაცი არავის აინტერესებს და თუ დღეს გვეძლევა ამ კარების შეღების საშუალება — ეს ჩვენი მუშაობის წყალობით. ბერლინის კონგრესზე (იურისტებისა) ისინი ეძებდნენ ჩვენთან კავშირს! აი ბატონებო, ჩვენი ამერიკელებთან დაკავშირების ხელსახები ნაყოფი. მე მიხდა გავათავო ერთი შენიშვნით: ჩვენ ხელში გვაქვს ოქრო საქმე, შესანიშნავი შემთხვევა, რომელმაც დიდი საერთაშორისო შედეგი მოგვეცა. საქართველოზე დღეს ლაპარაკობენ საქმიანი სიმშატიით და ცოდნით. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მას ახასიათებს როგორც ბოლშევიკური იმპერიალიზმის პირველ მსხვერპლს. 30 წლის სიჩუმის შემდეგ ლონდონის „ტაიმსი“ ფართო აღვიღოს უთმობს ჩვენს პრობლემას? არის ეს მიღწევა თუ არა? ამ პოზიციებს უნდა დაცვა, მოვლა და განვითარება. არა ვარ დაწმუნებული რომ ჩვენ ამას შევძლებთ, ჩვენი ძალების სიღარიბის გამო. ამასთან უნდა აღვნიშნოთ დიდი ორგანიზაციული ნაკლი აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობაში. იქ არ იყო ხელმძღვანელობა,





ქართული საზოგადოების დავა გადატანილია იქ და ხელს უშლიდა მუშაობას. ნოე ყორღანამ თქვენ გირჩიათ საქმიანი ზალხის არჩევა. მე მგონია მოხუცს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში. აირჩიეთ ისეთი ზალხი, რომელიც მთელ დროს დავას არ მოანდომებს. მე ამ უამად შორ მომავლისკენ არ ვიყურები, მაგრამ მინდა თქვენ გთხოვოთ — ყველაფერი ჰქნათ, რომ ქართული ემიგრაციამ ჩვენს საქმეს მოუაროს და მას დამცველები გაუჩინოს. თუ ამას არ შეასრულებთ დიდი დანაშაულს ჩადიდეთ.

ევ. გუგუშვილის სიტყვით ამოიწურა ორატორთა სია. საბოლოო სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

**6. ცინცაძე.** ბატონებო! სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ყრილობაში საცხები მიადწია დასახულ მიზანს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში ბევრი ჭაუგებრობა ამოიწურა. მთავარ მიზანში — ჩვენი ერის უფლების აღდგენა — განსხვავება არ არის. დავა — ბრძოლის ფუნდამენტი, მეთოდზე, ხდება მტრის წინააღმდეგ გარკვეული ფრონტის ჩამოყალიბება დასავლეთის დემოკრატიის მეთაურობით. აღმოჩნდა, რომ საგარეო ძალთა ფრონტიც არ არის საკმაო. საჭიროა შინაგანი ძალების ამოძრავება, ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად. დაპყრობილ ერების ფრონტი ამ ბრძოლის ერთი დიდი ელემენტია, მაგრამ საკმარისია მართლმართი ამოძრავება? არა. ევროპითარი ანგარიშით, ჩვენ ამ ბრძოლიდან ვერ ამოვადგებთ იმ მთავარ ძალას — რუსის ერს, — რომელმაც შეიძლება გადაამწყვეტი როლი ითამაშოს. უიმისოთ გამარჯვება პრობლემატურია და სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს დღეს ამერიკის დემოკრატია, რომელსაც არ ავიწყდება ისტორიის მავალითები; ამიტომ 100 მილიონიან რუსის ერს, ვებერთელა ტერიტორიის რეზერვით მისთვის დიდ ძალას წარმოადგენს. და თუ ეს ასეა, თუ ამ ძალის გადმოყვანას **გადამწყვეტი** მნიშვნელობა აქვს, განა ანგარიშია მისდამი დაპირისპირება? და რას მოუტანს ეს დაპირისპირება პატარა ერებს და საქართველო მთელ მსოფლიოს?

მაშასადამე, არსებობს ორი გზა — ფრონტი საგარეო და ფრონტი შიგნით მყოფ ძალებისა. ჩაგრული ერები და რუსები ერთად ითამაშებენ გადაამწყველ როლს ერის და პიროვნების განთავისუფლების საქმეში. შიში რუსებთან რისივე დამოკიდებულებაში შესვლისა შიშინისტური ფსიქოზის ნიადაგზე აღმოცენებული, რაც პო-

ლიტიკაში არ გამოდგება. დოქტრინობა ბრძოლაში მანვე მრჩეველია. თავისუფლების გზა ერებისა და რუსეთის კავშირის ფარგლებში გაივლის. ეს გაარღვევს შიგნიდან კომუნისტურ დიქტატურას. ამ კლაპარაკია ნდობაზე: რუსებს სჩვევიათ დაპირებაზე ხელის მოწერა და მისი უკან წაღება.

დღეს რუსის დემოკრატები ხელს აწერენ ისეთ დოკუმენტებს, რომლებზედაც 30 წლის წინეთა კლაპარაკიც კი არ სურდათ. ხელის მოწერას კი დიდი მნიშვნელობა აქვს და წარსულში ის გამოგვაძგა. ერთი უნდა ვიცოდეთ, დღეს სებარატულად განთავისუფლება რომელიმე ერისა გამოირიცხულია. 1950 წელში როცა ჯერ კიდევ ამერიკული კომიტეტი არ არსებობდა, ჩვენ გუგუშვილს მოლაპარაკება მთლიანი ქართული ცენტრის დასაარსებლად, ქართული საზოგადოების ყველა დაჯგუფებასთან. იქ ჩვენი მივიღეთ შეთანხმების ბაზა, პლატფორმა, სადაც რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან კავშირი მიჩნეული იყო საუკლებლად რეჟიმის სალიკვიდაციოთ. თუ ეს მისაღები და საჭირო იყო მათთვის 1950 წელში, მე დარწმუნებული ვარ ჩვენი მუშაობის შედეგი მათ მისცემს საშუალებას ამ გზას დაუბრუნდნენ, როგორც მამულიშვილები, რადგან სხვა გზა არ არსებობს.

უკანხელებთან მოლაპარაკება დავიწყეთ თავიდანვე, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, მათში არის შინაური ბრძოლა, შეხლა-შემოხლა; ალბათ მალე დამთავრდება და არის იმედი, რომ ახლო მომავალში ერთად შევედგებით საერთო საქმის კეთებას. ვისბადენში ჩვენ მოითხოვეთ მათი კვალიფიციური წარმომადგენლების დაშვება, და მათგან ვამდგარი — მცირე ჯგუფების დაშვება არ მივიღეთ, რისაც ისინი დიდათი აფასებენ.

ამ კლაპარაკი იყო საქართველოს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ნდგომარებაზე, მის მენობლებზე. ამაზე სიტყვას არ ვაფარებლებ. ჩვენ გუგუშვიროება დიდი და ძლიერი მფარველი. აი ამ მიზნით ჩვენ შევედით დასავლეთის და ამერიკის დემოკრატების საერთო ფარგატრში და ამერიკული კომიტეტთან დანოკიდებულებაში. ბოიკოტის გზას ჩვენ ვერ დავადგებოდით. ახალი პოზიციების მოპოვება და გამაგრება — ესაა მებრძოლის მოვალეობა და ტაქტიკა. სხვა ნაიჩად ბრძოლა მე არ მესმის. ბნ ურუმადის შენიშვნები ემყარება გაუგებრობას. ის ამტკიცებდა — ვისბადენის დადგენილება რუსებმა გააუ-





ქმის-ო, მსაგრამ უკანასკნელი პროექტები გუ-  
ლისხმობს საკოორდინაციო ცენტრს, სადაც  
ერებს რჩება მეტი თავისუფლება მოქმედებაში.  
არის თუ არა ეს პროგრესი? დამფუძნებელი კრე-  
ბის უფლება ცრცელდება ყველა ქრისე. გულის-  
ხმობს თუ არა ეს უფლების სრულ თავისუფ-  
ლების? საქართველოს შესახებ მიღებულ იქნა  
გამონაკლისი ჩვენი მოთხოვნების გარეშე.  
ჩვენ, პირიქით, განვაცხადეთ, რომ ჩვენი ბრძო-  
ლის საგანი იყო და რჩება ყველა ქრის თავისუფ-  
ლება და ამ ბრძოლას ჩვენ განვაგრძობთ.

საბოლოოთ კომიტეტის მუშაობა ამ გზით  
მიიხარება. ამ მუშაობის ნაყოფს ყრილობა  
სრულად გაეცნო, და მე ვფიქრობ მომავალმა  
კომიტეტმა ის უნდა განაგრძოს. მან უნდა იზ-  
რუნოს ამ ფრონტში მემოვიდეს ყველა დაზაგ-  
რული ერთა წარმომადგენლობა, და, როგორც  
მოგახსენეთ, ამ მხრივ, გადაშორული ნაბიჯები  
გადადგეულია. ჩვენი მოკავშირეების რიცხვი-  
დან ამოგდებულია გაზეთ „კავკასი“-ს ჯგუფი,  
რომელიც ჩვენს მეზობლებს ორ მიპირდაპირე  
ხანაკათ ჰყოფს, რომელთა დაყოფა, დაპირისპი-  
რება ჩვენი პოლიტიკა არაა. ცხადია, კავკასიურ  
რი პოლიტიკა ერთი უნდა იყოს, გზა ერთია, ნა-  
კარნახები ისტორიული ვითარებით და კოლი-  
კით. კავკასიურ ერთა მომავალი კონფერენცია  
აირჩევს საკოორდინაციო ცენტრს და დაადგენს  
ერთ კავკასიურ პოლიტიკას. სეპარატიული გან-  
თავისუფლება შეუძლებელია. ჩვენი საქმე შე-  
ვიდა საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესე-  
ბის ფარგლებში და ამით უნდა ვისარგებლოთ.  
აქ ჩვენ მოვისმინეთ გულწრფელი პათოსით წა-  
რმოთქმული სიტყვები. ასეთ პათოსს ფისურ-  
ვებთ მომავალ მუშაობაში.

ამით დასრულდა კანათი აღმასრულებელ კო-  
მიტეტის მუშაობის გარშემო.

პოლიტიკური კომისიის სახელით სიტყვა ედ-  
ლევა ბ. ვ. წულაძეს, ყრილობისათვის რეზოლიუ-  
ციის პროექტის გასაცნობათ. (იხ. რეზოლიუ-  
ცია). აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ რე-  
ზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

სამანდატო კომისიის სახელით ბ. ვ. ჩუბინიძე  
ყრილობას აცნობს დელეგატების შემადგენლო-  
ბაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებებს. სოც.-  
ფედერალისტთა სექციაში ბ-ნი ფ. შარაშიძეს  
სცვლის ბ-ნი მარ. ტულუმი. გაერთ. სოც.-დემ.  
— ბ-ნ ჯაფარიძეს და ვლ. ბაქრაძეს ავადმოყო-  
ფობის გამო ესწრებიან დელეგატების მანდატე-  
ბით ვ. ტულუმი და ის. ქარსელაძე. ყრილობას

ესწრება ოთხი ახალ მოწვეული უპარტიო დე-  
ლეგატი: ალ. მეღუა. ალ. ჩხენკელი. ი. კემუ-  
ლარი. ან. ელიგულაშვილი.

მიუხედავად—ქართული დემ. კავშირის წარ-  
მომადგენლები: ბ. ბ. გ. ავალიანი, კ. ინასარიძე:  
შვეიცარიიდან ბ-ნი კიტა ჩხენკელი.

იტალიიდან: ბ. ბ. გ. კერესელიძე და დ. სალი-  
რამვილი

ყრილობა ამტკიცებს წარმოდგენ. მანდატებს.

სარეგიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკ-  
ეთებს ბ-ნი ლევ. ფალავა, რომელიც ამბობს:  
ს ა რ ე ვ ი ზ ი თ კომისიის წევრებმა ვინა-  
ხულეთ ქართული საბჭოს მოლაზრე ბ-ნი დავ,  
სხირტლაძე და ბ-ნი გ. კერესელიძე, რომლებმაც  
ვრცლად და დაწვრილებით გაგვაცნეს ეროვნულ  
საბჭოს ყველა ანგარიშები.

ეროვნულ საბჭოს ბიუჯეტი არ ქონია და ჩვე-  
ნის ფიქრით, არც შეიძლებოდა ქონოდათ, რად-  
განაც თქვენ იცით, რომ ბიუჯეტის ნიშნდობ-  
რივი თვისებაა: გქონდეს მუდმივი შემოსავლის  
წყარო, ეს შემოსავალი უნდა გაითვალისწინო,  
დამტკიცო და შემდეგ სისრულეში მიიყვანო.  
ეროვნულ საბჭოს კომიტეტს, მხოლოდ დრო გა-  
მოშვებით, სხვადასხვა დროს, მიუღია ამერიკულ  
კომიტეტისაგან სხვადასხვა რაოდენობის თანხა.  
ეს თანხები ყველა აღრიცხულია შემოსავალ - გა-  
სავლის დიდ წიგნში. ყველა ფასული თანხებს თან  
ახლავს სათანადო ხელ - მოწერილი გასამართლე-  
ბელი ქვითარები. არც ერთი თანხა არაა გაცემუ-  
ლი მოლარის მიერ მისი პირადი გადაწყვეტილე-  
ბით. ყველა თანხები გაცემულია ეროვნულ საბ-  
ჭოს დადგენილებით და მოლარეს მხოლოდ ეს  
დადგენილებები მოუყვანია სისრულეში.

სარეგიზიო კომისიამ ეს ანგარიშები დაამტკი-  
ცა ერთხმად. კომისიის სახელით წინადადე-  
ბას ვიძლევი წარმოდგენილი ანგარიში დაამტკი-  
ცებული იქნეს ყრილობის მიერ. რამოდენიმე შე-  
კითხვა - პასუხის შემდეგ, კრებამ კომისიის მოხ-  
სენება ერთხმად დაამტკიცა.

ყრილობა ეცნობა წესდების კომისიის მიერ  
შემუშავებულ შესწორებებს:

განყოფილება IV. I და II მუხლს დაემატება  
მუხლი III: „საბჭოს დელეგატები ირჩევიან ერ-  
თი წლის ვადით“. მიღებულია.

2. განყოფილება მე-V (ორგანო მართველო-  
ბის) მუხლი I-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვ-  
ლილება: „საზოგადო კრება იმართება: ჩვეუ-  
ლებრივი—ერთხელ წელიწადში; აისრეველებ-  
რივი — საჭიროების მიხედვით. შენიშვნა: ეწ-





ყოფა სისტემატიურად დელეგატების საინფორმაციო თათბირი, აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გასაცნობად. მუხლი V-თე. „ყრილობა ირჩევს საკონტროლო კომისიას სამი წევრისაგან, რომელსაც ევალება აღმასრულებელი კომიტეტის შემოსავალ-გასავლის განხილვა და მოკრებ ყრილობაზე მოხსენების წარმოდგენა“.

როგორც წესდების შესწორებაში ნათქვამია,

**ს ს დ ო მ ა მ ე ხ უ თ ე**

თავმჯდომარეობს ბ. პ. სარჯველაძე, ფრედ-დება წესდების შესწორების განხილვა. წინასწარი განმარტების და მოკლე მსჯელობის შემდეგ ყრილობა იღებს შესწორებებს და გადადის შემდეგ საკითხზე. მიღებული შესწორების თანახმად საბჭო ირჩევს საკონტროლო კომისიას სამი წევრისაგან: ალ. ჯაფარიძე, ლევ. ფალავა და ნ. გოგიტიძისა.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვი ისახლება — 9. სხდომა წყდება 15 წუთით, ჯგუფთა შორის შეთანხმებით კანდიდატების შესარჩევად.

სხდომის განახლებისას არჩეულნი იქნენ აღმასრულებელ კომიტეტში წევრებათ: ნ. ცინცაძე, რ. არსენიძე, კ. გვარჯალაძე, გრ. ურატაძე, ნ. ჟურუაძე, ფ. შარაძე, გ. კერესელიძე, დ. სხირტლაძე და გოჯო წერეთელი. კანდიდატებათ: ვ. ტულუში, ვ. ბოლქვაძე, ლ. ფალავა, ვ. ინწკიშვილი, ალ. შათირიშვილი, თ. ანთაძე, ვ. ინასარიძე და ალ. ჩხენკელი.

კომიტეტიდან რაიმე მიზეზით გასულ წევრის ადგილს იჭერს მისივე ჯგუფის კანდიდატი. სია მიღებულია ერთხმად, ერთის თავის შეკავებით.

**პ. სარჯველაძე.** ნება მომეცით ბატონებო, თქვენი სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მისი ერთი წლის ენერგიული მუშაობისათვის. 3 დღის საბჭოს სხდომის დინჯმა და საქმიანმა მსჯელობამ ნათელიყო რომ საბჭო სდგას თავის მოწოდების სიმალლეზე. და აგრეთვე დაამტკიცა სისწორე და აუცილებლობა ეროვნული ბრძოლის იმ ახალი ტაქტიკისა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მოსალოდნელ საერთაშორისო კატასტროფის დროს აცდინოს ჩვენს ქვეყანას საშინელი უბედურება და ამავე დროს ქმნის პირობებს საქართველოს გასანთავისუფლებლად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ამ მიმართულებით ჩვენ მიეცით დირექტივები ახალ კომიტეტს და სურვილს გამოვთქვამთ რომ იგი გა-

საბჭოს წევრები ირჩევიან ერთი წლით. დღევანდელი ყრილობის წევრები, რჩებიან თავის უფლებაში მომხილვად სესიამდე. ამ უკანასკნელზე კი იგზავნებიან ახლად არჩეული დელეგატები, რომელთაც ჩაბარდება კომიტეტის ანგარიში.

სიგვიანის გამო სხდომა შეწყდა. შემდეგი სხდომა ინიშნება 6 ოქტომბერს, საღამოს 8 საათისათვის.


ათკეცბული ენერგიით და ურყევი ნებისყოფით შეუდგება საქმის წარმოებას. მწუხარებით აღვნიშნავეთ რომ ქართული საზოგადოებაში ხიება სრულიად გაუმართლებელი გამოსვლები, რომელსაც შეაქვს განხეთქილება ქართველთა მებრძოლ რიგებში. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ არიან გულწრფელი პატრიოტები, რომელნიც ჯერ კიდევ ყოყმანობენ და შეიძლება გარკვეულნი არ არიან, ამიტომ არ კმარა, მარტო დირექტივების მიცემა კომიტეტისადმი, არამედ საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან გავიდნენ ქართულ საზოგადოებაში და მიუდგომლათ აუხსნან ჩვენი ბრძოლის ტაქტიკა. გაუმარჯოს ჩვენი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას, გაუმარჯოს საქართველოს. (საერთო ტაში).

კრების დახურვის წინ მან სიტყვა მისცა ბ. გ. კერესელიძეს, რომელმაც, როგორც კომიტეტის უკანასკნელმა თავმჯდომარემ აღნიშნა ის ჰარმონიული მუშაობა, რომელიც არსებობდა კომიტეტში, ყოველივე ემსახურებოდა ერის ინტერესებს და საერთო მუშაობაში არი ქონია ადგილი არავითარ გაუგებრობას. მადლობა კომიტეტს თავის მრავალეობის ერთდგულათ შესრულებისათვის, ბ.ბ. ევ. გეგეჭკორის, აკ. ჩხენკელს, ნოე ცინცაძეს, დავ. სხირტლაძეს და ს. მენაღარს, რომელსაც თავის თანამშრომლობა ჩვენთან სტამბოლიდან ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. და დაუმატა: ჩვენ პირნათლათ შევასრულეთ დავალება (ტაში). ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შეორე ყრილობის მუშაობა დამთავრებულიათ გამოაცხადა და კრება დახურა.

**რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა**

ქართული ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობამ მოისმინა ბ-ნ ნოე ცინცაძის მოხსენება საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ: აღნიშნავს, რომ დღევანდელი რთულ და მძიმე საერთაშორისო მდგომარეობაში, კომიტეტს





დებეშა ამერიკიდან.

ქართულ ეროვნულ საბჭოს ყრილობას

თავის მრავალწრივი მუშაობით ჩვენი ქვეყნის ინტერესები საესებით დაუცავს და ღირსული ადგილი დაუჭერია ანტიბოლშევიკურ ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობაში.

ქართულ ეროვნულ საბჭოს მეორე ყრილობა მოუწოდებს მთელ ქართველობას ენერგიულად და ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი ამ გადამჭრელ ბრძოლას და მტკიცედ და ურყევად იდგენ ქართული პოლიტიკის ამ მთავარ ხაზზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მჭიდრო თანამშრომლობა იმ მებრძოლ ძალებთან, რომელსაც ხელმძღვანელობს შეერთებული შტატები და მთელი თავისუფალი მსოფლიო.

ამ ძალებთან ჩვენ გვაერთობს როგორც ანტი-ბოლშევიკური ბრძოლის იდეა (ერისა და პიროვნების თავისუფლება), ისე მეთოდი თვით ბრძოლისა, ეინაიდან ჩვენთვის, ისე როგორც მთელი მსოფლიო დემოკრატიისათვის წარმოუდგენელი თავისუფლება ერისა და პიროვნების საბჭოთა სახელმწიფოს ბოლშევიკური რეჟიმის წაქცევის გარეშე.

ქართული ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა აღიარებს, რომ რამდენად უფრო ფართო და აქტიური იქნება რუსის ხალხის მონაწილეობა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმდენად უფრო ადვილი იქნება გამარჯვების მოპოვება.

ქართული პოლიტიკისა და ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთა მოვალეობაა იმუშაონ ამ პოლიტიკის ხაზზე და იმავე დროს შეეცადონ გახადონ ის ყველა ანტიბოლშევიკურ და ჩაგრულ ერთა ძალების საერთო პოლიტიკათ.

ყრილობა ავალდებს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ყოველი ზომა მიიღოს და ყოველგვარი საშუალებებით შეეცადოს, რათა საბჭოთა იმპერიის საზღვრებში მოქცეულ არა რუსი ერები შეაერთოს და რომ მათი ნამდვილი ეროვნული ორგანიზაციების მიერ სრული ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები შევიდენ განზრახულ საკოორდინაციო ორგანოში.

ყრილობა ავალდებს აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს ზომები კავკასიის ერების საერთო ფრონტის შესაქმნელად.

მასვე ევალება შეეცადოს პოლიტიკური და კულტურული მჭიდრო კავშირი გააბას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძალით გასაბჭოებულ ერებთან და ამერიკულ, ევროპულ და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული წრებთან.

მოგესალმებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან. არ არსებობს მეორე ქვეყანა, რომელიც უფრო მეტად თანაუგრძობდეს თქვენი ეროვნული საბჭოს მიზანს და მეტ ყურადღებას აქცევდეს ეროვნული განთავისუფლების ცდებს, როგორც ამას დღეს ამერიკა შეება. მე მრწამს გულწრფელად, რომ ყველა ქართველები გამოიჩინენ ურყევ პატრიოტიზმს და თქვენი ეროვნული საბჭოს ირგვლივ დაირაზმებიან. ასეთი მთლიანობის დემონსტრაცია იქნებოდა საუკეთესო პირობაგანდა თავისუფალი საქართველოს აღსადგენათ.

ილია გოლდმანი.

ქართულ ეროვნულ საბჭოს მეორე ყრილობაზე მონაწილე დელეგატთა სია:

პარიზიდან სოც.-დემოკრატიული ფრაქცია: გ. ერსაძე, კ. გვარჯალაძე, გრ. ურატაძე, ე. ჩუბინიძე, პ. სარჯველაძე, ლ. ფალავა და ვ. ინწკირველი.

სოციალ-დემ. გაერთიანებული ორგანიზაცია: ნ. ცინცაძე, რ. არსენიძე, ივ. ბოლქვაძე, იკ. ასათიანი, ვ. წულაძე, ე. ტულუში და ის. ქარსელაძე.

სოც.-ფედერალ. ორგ.: ნ. ურუშაძე, ნელი გოგითიძისა, თ. ანთაძე და დ. ერქომაიშვილი.

ნაც. - დემოკრ. დ. სხირტლაძე.

უპარტიოები: ალ. მეულა, გ. წერეთელი, ი. კემულარია, ალ. ჩხენკელი, ან. ვლიგულაშვილი.

სოწოდან: რ. ყიფიანი, ილ. სალუქვაძე და ალ. მათიროშვილი.

იტალიიდან: გ. კერესელიძე და დ. საღირაშვილი.

არგენტინიდან მარ. ტულუში.

სპარსეთიდან: გრ. მოღებაძე და ე. ხომერიკი.

სტამბოლიდან ტ. წულაძე.

შვეიცარიიდან კიტა ჩხენკელი.

გერმანიიდან: გ. ავალიანი და კ. ინასარიძე.

სულ 36 დელეგატი

შემდეგი მე-8-ე ნომერი გამოვა ერთ კვირაში. რედ.